ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
რფჭფჩდფ
* ქფჰბ
!* ფგჰბქბლფყ




[esif,fsb7 !( fghbkb7 @)!@ 192 (5782) afcb5 #) stshb

# ივანიშვილმა სააკაშვილის გამო ბოდიში მოიხადა


გვ.3

## შოთა მალაშხია: დაუმარხავი ლენინი ჩვენთვის დიდი საფრთხეა!


გვ.2



## ანქვაბის ტერაქტის უკან შამბას ვაჟი და არძინბას ქალიშვილი დგანან?

გვ.4

## ვინ უშველის დანგრეულ ტაძრებს

გვ.4




გვ.5

## მანანა ნაჭყებია: საქართველოში რევოლუციური განწყობა არ არის“

## ნინო კალანდაძე: დიტერ ბოლენთან ურთიერთობები უნდა შევზღუდოთ

გვ.6




გვ.2

## მერაბიშვილი საზღვრებზე კომისრებს დააყენებს



## ელიზბარ ჯაველიძე: ჯონ ბასმა ქართველების ჩახოცვას მწვანე შუქი აუნთო!“

გვ.6



## კალმახელიძის ექიმები ტუბერკულოზს სახეში გალაწუნებით კურნავენ“

გვ.3

## რა როლს ასრულებდა ვარდების რევოლუციის დროს იგორ ივანოვი?

გვ.7

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: თუ ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იარსებებს

გვ.7



ISSN 1987-9385

**6** თბილისი ისევ კლინტონის მოლოდინშია

**10** ლალიძე ივანიშვილს რეიტინგს უწუნებს

**6** მაია ფანჯიკიძე მამამისის სახელობის ბიბლიოთეკაში ვერ შევიდა

**6** მემარჯვენეები სოფელ-სოფელ დადიან

# შოთა მალაშხია: დაუმარხავი ლენინი ჩვენთვის დიდი საფრთხეა!

ქეთი ხომერიკი

**რამდენად რეალურია რუსეთთან ახალი ომის დაწყების საფრთხე, რატომ იქმნება ყველა სოფელში რეზერვისტთა ჯგუფები, რისი კომპლექსი აქვს და რატომ შურს ალასანიას ახალაიების და გაირტყამს თუ არა სილას ივანიშვილი ხელისუფლებისგან? „ახალ თაობას" „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია ესაუბრა.**



**შოთა მალაშხია:**

— ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ ლავროვი უამრავ დიპლომატიურ შეცდომას უშვებს. აი, გუშინ, კვლავ მოუწოდა მოსახლეობას, რომ არ ჩამოვიდნენ საქართველოში. არადა, ფაქტი არის შემდეგი — დიახ, ჩვენ გვაქვს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ეს კანონი ეხება აბსოლუტურად ყველას და არამარტო რუსეთის მოქალაქეებს. რაც შეეხება ,,ღია ცის" საკითხს, ჩვენ ყოველთვის გამოვდივართ საერთაშორისო სამართლიდან, აქედან გამომდინარე, მივმართეთ იკაოს. როდესაც იყო საუბარი ბომბორას აეროპორტის გახსნაზე, სწორედ რუსეთი აპირებდა აქ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას. ამიტომ ყველა საკითხი ჩვენი ურთიერთობის გადატანილია საერთაშორისო ორგანიზაციებში, ზოგჯერ სპეციფიურ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიც არის საფრენი საშუალებები, კავშირგაბმულობის საკითხები და ა.შ. და ჩვენ საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში ვართ ყოველთვის მართლები და ამ პრინციპიდან ამოვდივართ. კანონს არღვევს რუსეთი, იმაზე მეტი რა უნდა დაარღვიოს, როდესაც ოკუპირებულ რეგიონს უწოდებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ამაზე რუსეთი უახლოეს ხანში აუცილებლად აგებს პასუხს.

***— ბოლო პერიოდია, რუსეთთან ახალი ომის დაწყების საფრთხეზე მიანიშნებთ, რა ხდება, მოსახლეობას აშინებთ თუ ეს საფრთხე რეალურია?***

— არა, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის რუსეთის სურვილი. რუსეთს სურს განახორციელოს მორიგი აგრესია, რადგან რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე როგორც სამართლებრივად, ისე მენტალურად. არაერთგზის გამოსულან მედვედევი და პუტინი და უთქვამთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო გეოპოლიტიკური კატასტროფა. ისინი მიდრეკილნი არიან, რომ აღადგინონ საბჭოთა კავშირი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლენინი ჯერ კიდევ დაუსაფლავებელი ჰყავთ კრემლში და წრეებს არტყამენ დიდი ენთუზიაზმით. ამიტომ ეს მენტალიტეტი სანამ არსებობს, საფრთხე მუდმივად იქნება. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებისთვის საქართველო არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც ხელისუფლება ვერ გამოცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. ამიტომ მუდმივი მცდელობა აქვთ ამისი, მაგრამ მათი შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით არის საკმაოდ შეზღუდული და ამას რომ ვერ ახერხებენ, ამიტომაც არის ასეთი რაღაცეები, განცხადებას აკეთებს, დავუშვათ, ლავროვი, რომ მიდის საქართველოს შეიარაღება, ამას სჭირდება საქართველოდან მარიონეტების დასტური და უდასტურებს ალასანია და ამბობს, დიახაც, ასეთი შეიარაღებული ფორმირებები არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შემდეგ ამას მოჰყვება კარასინის განცხადება და მოჰყვა მარიონეტული ხელისუფლებების განცხადებებიც, ანუ ამაზე დასტური აქედან მიიღეს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ასეთ პარტიებს შემდეგ მოსახლეობა ხმას არ აძლევს და რიკოკრედიტიდან ჩამოდიან თიბისის მაჩვენებელზე. და ეს არ არის ჩვენი დამსახურება, ეს არის მათი დიდი მოღვაწეობის შედეგი. ასე თუ განაგრძეს, არ ვიცი, კიდევ რა ბანკია, რომელსაც უფრო ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი აქვს, ალბათ, იმ მდგომარეობამდე დავლენ. როდესაც ჩადიხარ სამეგრელოში, რომელმაც ყველაფერი თავის თავზე გადაიტანა, ნახა მხედრიონობა და ლაპარაკობ, რომ ეს არის ჰომსი (და ეს ჰომსი მათ უფრო ადრე ნახეს - 92 წელს), რაღა ხმების აღების იმედი უნდა გქონდეს?

***— სხვათა შორის, არა მარტო იმედი აქვს, არამედ დარწმუნებულია, რომ სამეგრელოს ახალაიების კლანისგან დაიცავს და გაათავისუფლებს, ფიქრობთ, გაუჭირდება?***

— და ზუგდიდში წავიდა თუ ჰომსში? მისი განაჩენი იქნება შემოდგომაზე, ვგულისხმობ, პროცენტულ მაჩვენებელს, როგორიც იქნება. როგორც ვატყობ, ამ ადამიანს აქვს კომპლექსი წარმატებული ადამიანების, რადგან უნდა ითქვას, რომ ამ ოჯახის წევრები მართლაც წარმატებული ადამიანები არიან. ერთი ძმა თავდაცვის მინისტრია, მეორე — კუდის უფროსი.

***— იმ კუდის, რომელიც მოსახლეობას ატერორებს, ოპოზიციას უთვალთვალებს, უსმენს....***

— კარგით, რა! კუდი არის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი და უნდა მოიქცეს სათანადოდ. ვის რაში სჭირდება ამათი თვალთვალი ან მოსმენა, ესენი ტელევიზიით იმას ამბობენ, რასაც აკეთებენ და არ სჭირდებათ ამათ დიდი სმენა. ნებისმიერი მათი ქმედება მარტივი გამოსაცნობია. აი, თუ მოისმენ ნეგატივს რუსეთის ტელევიზიიდან, ამას დასჭირდება დასტური საქართველოდან და ახლა ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, ამას ალასანია იტყვის თუ კუკავა, პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს. დიახ, ალასანიას შურს წარმატებული ადამიანების, ამ შემთხვევაში, ახალაიების. აბა, სხვა მომენტით, ალბათ, ეს არ აიხსნება და რაც გამოუვა, ზემოთ გითხარით, ეს იქნება მისი მაქსიმალური შედეგი. ისე, გაიხსენეთ, მათი მბრძანებელი რუსეთი წვრთნებს როდის ატარებდა, ზუსტად ასე იყო აგვისტოს პროცესების დროს, ისიც, გახსოვთ, ალბათ, პუტინს ჩვენი ჟურნალისტი როდესაც ესაუბრებოდა, რა თქვა მან — როდის გაქვთ საქართველოში არჩევნებიო. ცხადია, ეს წვრთნებიც უნდათ, რომ დაამთხვიონ სწორედ ამ არჩევნების პერიოდს. და ეს ყველაფერი ჩანს ზედაპირზე და საქართველოს საწინააღმდეგო პიარზე მუშაობს ახლა ივანიშვილი და მისი კამანდა. დაიქირავეს ყველა საშუალებები სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოებში, მაგრამ საქართველოს აქვს სერიოზული საერთაშორისო კონტაქტები, რომ ის, რაც მოხდა აგვისტოში, არ განმეორდეს, თუმცა ჩვენ ვამბობთ, რომ ეს სურვილი რუსეთს არ დაუკარგავს.

***— პრეზიდენტის გადაწყვეტილება — ყველა სოფელში რეზერვისტთა ჯგუფის შექმნა, წინასაარჩევნო პერიოდს რატომ დაემთხვა?***

— ჩვენ ყოველდღიურად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. მე, ეს მახსოვს ყოველდღიურად, რადგან ვიწერ ამ ადამიანებს და ვიცი, რაც გადახდათ თავს — როგორ გააუპატიურეს მამის წინ შვილი, როგორ ეუბნებოდნენ ძმას და გააუპატიურეო და ა.შ. იმ დროს სტრუქტურამ, რომელმაც ვერ იმუშავა, სარეზერვო სისტემა იყო და ხომ ამბობდა კიდეც ოპოზიცია სარეზერვო სტრუქტურა გამოსასწორებელიაო?! და სარეზერვო სტრუქტურა არის შემდეგნაირ რაღაცაზე გადასული — ზუგდიდიდან თბილისში კი არ უნდა ჩამოიყვანო რეზერვისტი და თბილისელი კი არ უნდა წაიყვანო გორში, არა, ადგილობრივ დონეზე უნდა იყოს ეს, რადგან მან ყველა ადგილი, სოფელი იცის. და ეს, რომ ახლა არ იყოს, მომავალ წელს იქნება საპრეზიდენტო არჩევნები, შემდეგ ადგილობრივი არჩევნები და გამოდის, რომ 3 – 4 წლის განმავლობაში ვერაფერს გავაკეთებთ. 4 წლის მერე კი, ხელახლა იწყება საპარლამენტო არჩევნები, ანუ, ფაქტობრივად, ყოველ წელიწადს არჩევნები ტარდება, და რომელ წელს დავიწყოთ მაშინ ამ სარეზერვო სიტუაციის გამოსწორება, რომ არჩევნებს არ დაემთხვეს?

***— ბესელიას თქმით, გამორიცხული არ არის, რომ სააკაშვილი ემზადებოდეს რაიმე ტიპის პროვოკაციისთვის იგივე რუსეთთან მიმართებაში... მისი აზრით, ეს ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვი სამშვიდობო განწყობის მქონე არ არის...***

— ეგ ცოცხალია კიდევ? ესენი თუ ერთად არიან, ალასანია და ბესელია, მაშინ უკეთესი იქნება პოზიციები შეათანხმონ. ვერ გავიგე, ერთი ამბობს, არჩევნებისთვის სჭირდებათო, რომ რაღაც გავაკეთოთ ჰომსში, მეორე ამბობს, რუსეთისთვის სჭირდებათო. ვიმეორებ, ჩვენ ყოველთვის გვახსოვს, რომ 20 % არის ოკუპირებული და ამას სჭირდება არა მარტო საერთაშორისო მობილიზება, არამედ ქვეყნის შიგნით მობილიზებაც და ქვეყნის შიგნით ყველა მოქალაქეს ეს ყოველდღიურ რეჟიმში უნდა ახსოვდეს. სხვათა შორის, ძალიან მაღალია მოთხოვნა ამ ნებაყოფლობითი რეზერვის. კი, გვჯერა, საერთაშორისო კომპონენტის, ყველაფრის, მაგრამ რეალურად შიზოიდებთან გვაქვს საქმე და ამ შიზოიდების არაპროგნოზირებადი ხასიათისთვის ჩვენ ქმედებები, როგორც სახელმწიფომ, ხომ უნდა განვახორციელოთ. თუ გინდა არჩევნებს ემთხვეოდეს, ან არ ემთხვეოდეს, ეს საკითხი უფრო ღირებულია ჩვენთვის, ვიდრე არჩევნები.

***— სხვათა შორის, ხიდაშელი ირწმუნება, რომ სააკაშვილი გვატყუებს, როდესაც ამბობს, რომ გრძელვადიანი მისია მოითხოვა. ,,მოსაწვევი კი გაიგზავნა, მაგრამ ეს არის არა გრძელვადიანი, არამედ ჩვეულებრივი სადამკვირვებლო მისიის მოთხოვნა, — აცხადებს ხიდაშელი, ამაზე რას იტყვით?***

— პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება არსებობს და ახლა ამის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ შეიძლება, რადგან ეს არის ოფიციალური განცხადება. ხომ აქვთ დაიჯესტები, ხომ კითხულობს ევროკავშირი, აქ ხომ ჰყავთ წარმომადგენელი, ანუ მისთვის ეს უკვე ოფიციალური განცხადებაა, მიუვა ეს, კონვერტში ჩადებენ, თუ არა, აი, ეს სისტემა არის წინა საუკუნეების, თუმცა მაინც გაიგზავნა წერილები. და, რა თქმა უნდა, საუბარია, გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიაზე. ხიდაშელი კი რას ამბობს, ნაკლებად მაინტერესებს.

***— არ ვიცი, ნაკლებად რა გაინტერესებთ, თუმცა ისიც კი, ითქვა, რომ ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავდით...***

— ლიკვიდაცია არის მეგრული სიტყვა, ლიკვი არის მუშტი, დაცი არის დარტყმა, თქვენ ამბობთ, რომ სილის გარტყმას ვაპირებთ ივანიშვილისთვის ? თუ ამას ასე გულისხმობთ, გეთანხმებით, და ეს სილა იქნება ოქტომბრის ბოლოს, როდესაც ის მიიღებს თიბისი ბანკის კრედიტს. ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, ამ კაცმა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.

***— და მიზნის მისაღწევად კონსტიტუციურ ცვლილებასაც კი არ ერიდებით, არადა, შეგეძლოთ მიგეცათ მოქალაქეობა ამ ადამიანისთვის...***

— და ეთხოვა პრეზიდენტისთვის, ვერ ვხვდები, რა პრობლემა იყო! ახლა ისინი ამბობენ, რომ ჩვენ შევცვალეთ კონსტიტუცია იმისთვის, რომ ივანიშვილს მივაღებინოთ არჩევნებში მონაწილეობა და მეტი რაღა უნდათ? დიახ, ჩვენი მიზანია მიიღოს ამ კაცმა არჩევნებში მონაწილეობა და ამას, აუცილებლად გავაკეთებთ, არ უნდა, მაინც მივაღებინებთ მონაწილეობას. არა შეჯდა მწყერი ხეზე, აიღეს და ძალით შესვესო.

***— და დიდი ხანია, რაც ივანიშვილი თქვენთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს? ამტკიცებთ, რეიტინგი არ აქვსო, იქნებ ოქტომბრამდე ისე ავარდეს მისი რეიტინგი, რომ...***

— საფრთხეს არც არასდროს წარმოადგენდა. 10% აქვს მას და მკვდრის გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს, საბჭოთა კავშირს პუტინიც აღადგენდა. ჩვენ გვინდა ნორმალური დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მათი მიზანი კი იყო ამ არჩევნების დემოკრატიულობა, ლეგიტიმურობა დაეყენებინათ კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, ეს იყო მათი მცდელობა და ეს მცდელობა იქნება ჩაშლილი, რადგან მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ახლა, თუ დახია ის პასპორტი და გაიქცა აქედან, არ ვიცი, ეს უკვე მისი გადასაწყვეტი იქნება.

# მერაბიშვილი საზღვრებზე კომისრებს დააყენებს



თეა მარხვაიძე

**საქართველოს ხელისუფლების იდეებს საზღვარი არ აქვს. ამჯერად ხელისუფლება სასაზღვრო კომისრებით გაგვანებივრებს. ამ იდეის ავტორი საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილია. მერაბიშვილის კომისრები საზღვარზე გამაგრდებიან.**

**„სასაზღვრო წარმომადგენლის — სასაზღვრო კომისრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საქართველოს საზღვრებზე სასაზღვრო კომისრები იმუშავებენ.**

მინისტრის შესაბამისი დებულება ,,საკანონმდებლო მაცნეში" უკვე გამოქვეყნდა და ამოქმედდა. დებულების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად და სასაზღვრო ინციდენტების მოსაგვარებლად ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით" გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ უბნებზე წარმომადგენლებად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეები ინიშნებიან.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთები, რომელზეც ინიშნებიან წარმომადგენლები, განისაზღვრება მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრების კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სასაზღვრო პოლიცია.

სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთებზე (გარდა სასაზღვრო გამტარი პუნქტებისა) წარმომადგენლობითი საქმიანობის განსახორციელებლად წარმომადგენელთა კანდიდატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასანიშნად წარუდგენს სასაზღვრო პოლიციის უფროსი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებიდან.

სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში წარმომადგენლობითი საქმიანობის განსახორციელებლად კი წარმომადგენელთა კანდიდატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებიდან.

წარმომადგენელს ჰყავს მოადგილე ან მოადგილეები, რომელსაც წარმომადგენლის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის ამ წარმომადგენლის დასანიშნად წარმდგენი პირი.

წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კონტროლი სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვაზე და მიიღონ ზომები მისი დარღვევის აღმოსაფხვრელად;

მიიღონ აუცილებელი ზომები სახელმწიფო საზღვრის რეჟიმთან დაკავშირებული საერთაშარისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესასრულებლად; დამოუკიდებლად ან მოსაზღვრე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# კალმახელიძის ექიმები ტუბერკულოზს სახეში გალანწუნებით კურნავენ“

შალვა ჯოხაძე



გიორგი ტუღუში

**სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე გვარწმუნებს, რომ ქართულ ციხეებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პროგრამები კარგად მუშაობს. თუმცა, სახალხო დამცველის მონაცემებით, ამ დაავადებით კვლავ ბევრი პატიმარი იღუპება.**

გუშინ პენიტენციური სისტემის ანტიტუბერკულოზურ პროგრამაში წარმატებული საქმიანობისათვის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ მედპერსონალი დააჯილდოვა. მინისტრის თქმით, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მუშაობის შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

– პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში, ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის მიერ შერჩეული და გადამზადებული პერსონალი დაავადების შემთხვევათა ადრეული გამოვლენისა და შესაბამისად, დროული მკურნალობის მიზნით, დაწესებულებებში ყოველდღიური სკრინინგის ჩატარებას განაგრძობს.

დაავადების გავრცელების პრევენციის და ეფექტური მკურნალობის პროცესში ასევე უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა ახალი სამკურნალო დაწესებულება, რომლის მშენებლობაც ქსანში რამდენიმე თვეში დასრულდება.

პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე მასშტაბური ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ტუბერკულოზთან ბრძოლა და მისი გავრცელების პრევენციაა, – აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

თუმცა, ახალი დაწესებულების ამოქმედებამდე დაავადებულ პატიმრებს კვლავ ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა №19 სამკურნალო დაწესებულებაში უწევთ სასჯელის მოხდა.

სახალხო დამცველის ბოლო საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი. რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი განახლებული კორპუსის გარდა, დანარჩენი საცხოვრებელი კორპუსები საჭიროებს რემონტს და მათი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. სახალხო დამცველიც აღნიშნავს, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე შენდება ახალი კორპუსი, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2012 წელს.

– აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ახლად ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელ კორპუსში საშხაპის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. №19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება დაწესებულებაში არის 9 სამარტოო საკანი, მათგან 5 – მოქმედი, რომელთაგან სამს იყენებენ კარანტინისათვის. მონიტორინგის დროს სამარტოო საკნებში იმყოფებოდა 20 პატიმარი, აქედან 1 – თვითიზოლაციით, დანარჩენები კი იმ დღეს იყვნენ ეტაპირებულები სხვადასხვა დაწესებულებიდან და განაწილებამდე იმყოფებოდნენ საკარანტინე საკნებში. სამარტოო საკნებში სულ დგას 12 ერთადგილიანი საწოლი. თითოეულ საკანს აქვს თითო ფანჯარა, რომლის ზომაა 0.3 კვ.მ. და არ აქვს მინა. სამარტოო საკნების განათება ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით, თუმცა ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი ფანჯრების ზომის გამო. საკნებში არ არის გათბობის ცენტრალური და სავენტილაციო სისტემა. საპირფარეშო იზოლირებულია, თუმცა არის ანტისანიტარია, არ აქვს ჩასარეცხი. წყალი მიეწოდება გრაფიკით. საპირფარეშოებში არის პირსაბანი, რომელიც არ მუშაობს. სამარტოო საკნების კედლები და ჭერი ნესტიანი და ჩამოქერცლილია, ბეტონის იატაკი ამოყრილია. დაწესებულების ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ სამარტოო საკნები აღარ გამოიყენება. აღნიშნულს ასევე ადასტურებენ მსჯავრდებულები, ასევე – №19 დაწესებულების სამარტოო საკნებში მოთავსებულ პირთა ჟურნალი, – აღნიშნავს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

ცნობილია, რომ 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა შეისწავლა და რეაგირება განახორციელა როგორც პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ასევე მთელ რიგ სხვა უფლებადარღვევებზე, რომელთა ძირითადი ნაწილი დაკავშირებული იყო როგორც პატიმართა ჯანმრთელობის უფლების, ასევე სხვა ძირითადი უფლებების დარღვევასთან. საანგარიშო წელს, სამწუხაროდ, კვლავ დაფიქსირდა სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ფაქტიურად არ განსხვავდება 2010 წლის მაჩვენებლისგან. შესაბამისი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტუბერკულოზი კვლავ რჩება პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შესრულდა სახალხო დამცველის რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წინადადებების და შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა პენიტენციალური ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

– ვიმედოვნებთ, რომ განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების პრაქტიკაში უკეთესად რეალიზებას, – აცხადებს ტუღუში და კონკრეტული პატიმრის მაგალითიც მოჰყავს, რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული და გარდაიცვალა. ეს გახლავთ პატიმარი მურმან კ. სახალხო დამცველს ქუთაისის №2 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის, მურმან კ.-ს დამ მიმართა განცხადებით. განმცხადებლის თქმით, მსჯავრდებულს აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები. 2011 წლის 16 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს, შ.კ.-ს და გ.ო.-ს, რომელთა ეტაპირებაც მოხდა მურმანთან ერთად ზუგდიდის №4 დაწესებულებიდან. მსჯავრდებულ შ.კ.-ს განმარტებით, იგი ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ზუგდიდის №4 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მურმან კ.-სთან ერთად, რის შემდეგაც ისინი გადაიყვანეს ქუთაისის №2 დაწესებულებაში. მისი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ივანიშვილმა სააკაშვილის გამო ბოდიში მოიხადა

**ბიძინა ივანიშვილმა ჭიათურაში იმ მთავარ კითხვას გასცა პასუხი, რომელიც, ალბათ, ბევრ თქვენგანს აწუხებს. „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბოდიშიც კი მოიხადა. საუბარია საკითხზე, რატომ ედგა ამდენ ხანს ის სააკაშვილს გვერდით და ფულს უშურველად ხარჯავდა. ივანიშვილმა დანაშაული აღიარა და ახსნა, თუ რატომ წავიდა პოლიტიკაში.**

**– ვგრძნობ ჩემ წილ დანაშაულს. მეგონა, ვაკეთებდი ჩემს გასაკეთებელს და გვიან მივხვდი, რომ საქმე ასე არ უნდა მეკეთებინა, თურმე უბედურების სათავე აქაა. მე მივიღე ეს გადაწყვეტილება, მინდა, რომ კარგად შეაფასოთ, გულწრფელი ვარ თქვენ წინაშე, არ ვთვალთმაქცობ, – განაცხადა ივანიშვილმა.**

**ბიძინა ივანიშვილი ჭიათურაში რეგრესის პენსიონერებს შეხვდა. პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა საწარმოო ტრავმების შედეგად დაზარალებულ მაღაროელებს თანადგომა აღუთქვა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ამ ადამიანების წინაშე ვალდებულია. ბიძინა ივანიშვილმა „რეგრესის პენსიონერებს“ პირობა მისცა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მათი უფლებები დაცული იქნება.**

შალვა ჯოხაძე



**ბიძინა ივანიშვილი:**

– მამაჩემი მაღაროელი იყო. ჩემი სოფლელები, ძირითადად, მაღაროში მუშაობდნენ. მე ძალიან ბევრი თქვენი მსგავსი მეზობელი მყავს, ზოგმა ფეხი დაკარგა და ზოგმა – ფეხი. ბევრიც დაიღუპა.

არ გამიგია, რომ რომელიმე ქვეყანას თქვენნაირ ხალხზე უარი ეთქვას. არავის აქვს ასეთ ადამიანებზე ზურგი შექცეული, უარს არ ეუბნება იმის გადახდაზე, რასაც იმსახურებენ. ეს არ არის დახმარება, ესაა დამსახურების შედეგი. თქვენი ცხოვრების წესით, თქვენი წარსულით იმსახურებთ ამას. ჩვენ ყველანი, საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ, რასაც თქვენ იმსახურებთ და ეს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს. ის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახერხა, თქვენთვის ზურგი შეექცია, თაღლითობაა. მე გავეცანი და კარგად ვიცი იურიდიული საბუთებიც, ძალიან ბევრ შემთხვევაში კონკრეტული მდგომარეობებიც და გარდა თაღლითობისა, სხვა სიტყვა ამ ყველაფერთან დაკავშირებით ვერ მოვძებნე.

როგორც მოგექცათ ჩვენი სახელმწიფო, სააკაშვილი, ამა ჰქვია თაღლითობა. სახელმწიფომ გაყიდა სახელმწიფო საკუთრება, ჭიათურმანგანუმზე მაქვს საუბარი, მაღაროებზე. სახელმწიფო რომ ასხვისებს, ყველა ვალდებულება, რომელსაც მყიდველი ვერ ასრულებს, საკუთარ თავზე მან უნდა აიღოს. თქვენი შემთხვევა იმდენად განსაკუთრებულია. ეს რომ კერძო საკუთრებაც ყოფილიყო, ერთი კერძო მესაკუთრიდან გადასულიყო მეორის ხელში, ამ შემთხვევაშიც კი ხელისუფლება ვალდებული იყო, თქვენ წინაშე აეღო ყველა ვალდებულება და თქვენთვის გაეწია ყველანაირი დახმარება, რასაც თქვენ იმსახურებდით.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სახელმწიფომ თაღლითურად თქვა უარი გარკვეული ასაკის ადამიანებისათვის აუცილებელი ვალდებულებების შესრულებაზე.



– არ მინდა, ვისაუბრო დღევანდელ მესაკუთრეზე. სხვათა შორის, ვაგროვებ ყველანაირ საბუთს, რაც კი არსებობს და რასაც მოგვაწვდიან, რომ შევისწავლო, ვინ არის დღევანდელი მესაკუთრე, რისი საშუალებები აქვს მას. არ გამოვრიცხავ, რომ დღეს როგორი წესითაც ხორციელდება მარგანეცის მოპოვება, ამ მხრივ დღევანდელი მესაკუთრე რენტაბელობის ზღვარზეც კი გადიოდეს და მას არ ჰქონდეს დიდი მოგება. არ გამოვრიცხავ იმას, რომ სახელმწიფომ ეს ყველაფერი გაითვალისწინა და გაუსუფთავა რაღაც ვალდებულებები, რაღაც პასივები ჩამოაჭრა, შეუქმნა პირობები და დააინტერესა, რომ მას ინვესტიცია გაეთვალისწინებინა და აემუშავებინა მაღაროები.

ჩემი აზრით, ეს დასაშვებია, თუ ეს ასე მოხდა. ვიმეორებ, არ გამოვრიცხავ, დღევანდელი ჭიათურმანგანუმი არ გამოირჩეოდეს რენტაბელობით. მე მესმის, რომ ფეროც თავისი სიმძლავრით ვერ მუშაობს, აღარ არსებობს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც ეს პროდუქცია მუშავდებოდა. დღეს, პრაქტიკულად, პროდუქცია რუსეთში თუ სხვა ქვეყნებში გააქვთ, გზასაც ფული სჭირდება, წარმოებაც არ არის იმ დონის, როგორიც თავის დროზე იყო. პატარა მოცულობის საწარმოებს ხშირად ზედნადები ხარჯები ახლავს და შეიძლება, ის არ იყოს ისეთი რენტაბელური. ეს ყველაფერი გასაგებია და გაგებით შეიძლება მოვეკიდოთ. ამ საბუთებს ჩვენ გავეცნობით და გავიგებთ, რამდენად ობიექტურად მოიქცა ჩვენი სახელმწიფო. მე არ გამოვრიცხავ, რომ ინვესტორების რაოდენობა ძალიან დიდი არ იყო და შესაძლებელია, სახელმწიფო მოხელეები იმ დროს სწორად მოქმედებდნენ. მისაღებია, თუ ინვესტორს შეუქმნეს სწორი გარემო.

ის, რომ დღეს ჩვენი პრეზიდენტი ტრაბახობს, სახელმწიფო არ არსებობდა და მან შექმნა, მარტო ეს ერთი ატრიბუტი, მხოლოდ დამოკიდებულება თქვენდამი საკმარისია იმისათვის, რომ ამ სახელმწიფოს სახელმწიფო არ შეიძლება ეწოდოს. სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს თქვენნაირ ადამიანებზე, ის არ შეიძლება, სახელმწიფოდ იწოდებოდეს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა აღნიშნა, რომ თავს უხერხულად გრძნობს და ბოდიშის მოხდის სურვილიც აქვს, რომ ვერ მოახერხა, ყურადღება მიექცია ამ ადამიანებისათვის.

– კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი ჩვენი ხელისუფლების ნაცვლად, რომ თქვენ ასე მოგექცნენ. მე გარკვეულ უხერხულობას განვიცდი, რომ თქვენ ამდენი ხნის განმავლობაში ყურადღება ვერ მოგაქციეთ, მაგრამ ამდენი რამ არ უნდა გააკეთოს ერთმა კაცმა და ვერც გააკეთებს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა აღვადგინოთ სამართლიანობა, ერთ მუჭად შევიკრათ და სახალხო ხალისუფლება უნდა მოვიდეს, რათა დაიცვას თქვენი უფლებები.

გპირდებით, რომ ოქტომბერში აუცილებლად მოვალთ და ამ მოძალადე და ხალხის მოწინააღმდეგე ხელისუფლებას უარს ვეტყვით. მე გაძლევთ პირობას, რომ უპირველესად თქვენ დაიმსახურებთ ყურადღებას, რადგან თქვენ თქვენი გაეცით და საკადრისი დაფასება უნდა მიიღოთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ თქვენზე ვიფიქროთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა დანარჩენი მოსახლეობის მისამართითაც გააკეთა განცხადებები. მან აღნიშნა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ემოცია დავხარჯეთ. ამ შემთხვევაში, ემოციურად ივანიშვილს ან ალასანიას ხალხმა მხარი არ უნდა დაუჭიროს.

– უნდა დააკვირდეთ, დაფიქრდეთ, რადგან ამ ემოციურობით ძალიან ბევრი რამ დავკარგეთ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ჩემი თხოვნაა, არა ჩემდამი მხარდაჭერა, არამედ ის, რომ თქვენ მიეჩვიოთ ანალიზს და დაფიქრებით გაარჩიოთ თეთრი და შავი. მე არ მინდა, გითხრათ, რომ მე ვარ თეთრი, თავად უნდა გააანალიზოთ. მგონია, ქართველებს გონიერება არ გვაკლია, გადადეთ გვერდით ემოციები და მხოლოდ გონებით გააკეთეთ არჩევანი, – თქვა ივანიშვილმა.

ჭიათურელების თქმით, გარდა რეგრესის პენსიონერებისა, სხვა უამრავი პრობლემაცაა,

მაღაროელები სანთებლით ინათებენ სამუშაო მონაკვეთს, მწყობრში არ არის სავენტილაციო სისტემა, უხელფასობაა, მაშინ, როცა ხელმძღვანელობას 40-50 ათასლარიანი ანაზღაურება აქვს. მაღაროში სასაკლაოა, დღე არ გავა, ვინმეს ხელი ან ფეხი არ მოსწყდეს, ყოველ თვეში კი ერთი ადამიანი მაინც იღუპება. სააკაშვილის მიერ გახსნილი საავადმყოფო კი ჭიათურელებს სასაცილოდ არ ჰყოფნით. იქ ადგილების ნაკლებობაა.

თუმცა, არც რეგრესის პენსიონერების პრობლემაა მისავიწყებელი, რომლებიც, წლებია, კუთვნილ თანხებს უშედეგოდ ითხოვენ. საუბარია ყოფილი „ჭიათურმარგანეცის“ 200-მდე თანამშრომელზე, რომლებსაც საწარმოო ტრავმის გამო, ე.წ რეგრესული პენსია ეკუთვნით, მაგრამ თანხის მიღებას ვერ ახერხებენ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილმა მოქალაქეებს წერილი გაუგზავნა და დაჰპირდა, რომ იმ ადამიანებზე იზრუნებდა, ვინც ხელისუფლების ქმედებების გამო დაზარალდა. ამის ნაცვლად, ხელისუფლებამ ხელები დაიბანა და უარი თქვა საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე. ადამიანები წლების განმავლობაში მუშაობდნენ „ჭიათურ-მარგანეცში“, სადაც საწარმოო ტრავმები მიიღეს, მაგრამ ხელისუფლება დღეს უტიფრად აცხადებს, რომ ამ ადამიანების მდგომარეობა არ აინტერესებს. ამის შესახებ დაახლოებით ერთი წლის წინ სოფიო ხორგუანმა გააკეთა განცხადება. ხორგუანის თქმით, „ჭიათურმარგანეცის“ პრივატიზება გასაიდუმლოებულ პირობებში მოხდა და დღემდე უცნობია, ეს საწარმო გაკოტრდა, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო გასხვისდა, ან რა ვალდებულებებით მიიღო ახალმა მეპატრონემ ეს ქონება. მფლობელის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მხოლოდ მოარულები ხმები დადის იმის შესახებ, რომ „ჭიათურმარგანეცი“ ვიღაც უკრაინელებმა შეისყიდეს.

# ანქვაბის ტერაქტის უკან შამბას ვაჟი და არძინბას ქალიშვილი დგანან?

## ტერაქტში ეჭვმიტანილმა ტუტბამ თავი საკანში ჩამოიხრჩო

თეა მარხვაიძე

**აფხაზეთში უკვე ყველამ იცის, რომ ანქვაბს, ისევე, როგორც კატას, შვიდი სიცოცხლე აქვს. ის ბოლო 6 წლის განმავლობაში ექვსჯერ გადაურჩა ტერაქტს. ეს ტერაქტები მისთვის მშვიდობიანად დასრულდა. 5 ტერაქტი შემკვეთებისთვისაც ლაითად დასრულდა. მართალია ტერაქტების დროს ანქვაბს პრემიერის და ვიცე-პრეზიდენტის პოსტები ეკავა, მაგრამ ტერაქტები მაინც გამოუძიებელი დარჩა. მასზე განხორციელებული თავდასხმები მავანს ხახვივით შერჩა.**



ანქვაბი

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და მეტერაქტეებმა მისი მეექვსე ცდაზე მოკვლა განიზრახეს. იღბალმა არც ამჯერად უმტყუნა ანქვაბს. ის ისევ გადარჩა, სამაგიეროდ ტერაქტის დამკვეთებს წაუვიდათ მეექვსე ცდაზე საქმე ცუდად. ტერაქტში ეჭვმიტანილმა 2 პირმა თავი მოიკლა. ერთმა მათგანმა წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოიხრჩო თავი. ხოლო მეორემ დაკავების მომენტში გადაწყვიტა თვითმკვლელობა.

ტერაქტის გახსნის შესახებ ინფორმაცია აფხაზურმა მედიამ 13 აპრილს გაავრცელა. დამნაშავეთა დაკავება სწორედ ამ დღეს მოხდა.

სამართალდამცავებმა 6 პირი დააკავეს. მათგან საზოგადოებისთვის ცნობილი ბიზნესმენი ანზორ ბუტბა იყო. რომელიც ცნობილი აფხაზი ოლიგარქის ბესლან ბუტბას მოგვარეა.

როგორც „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი ამბობს, ბუტბას და ანქვაბს გასულ წელს მოუვიდათ კონფლიქტი. იმ დროს ანქვაბი ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტი იყო. ბიზნესმენი გუდაუთასთან ახლოს მდებარე საბადოს ამუშავებისთვის ლიცენზიას ითხოვდა. ვიცე-პრეზიდენტმა ლიცენზია არ მისცა.

17 აპრილს აფხაზეთში სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. აფხაზური მედიის ცნობით, ყოფილმა შს მინისტრმა ალმასბეი ქჩაჩმა თავი მოიკლა. რომელიც ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტის ერთ-ერთ დამკვეთად იქნა მიჩნეული. ყოფილმა მინისტრმა თავი საკუთარ სახლში მოიკლა.

აფხაზური მედიის ცნობით, 53 წლის გენერალ-მაიორმა თავი „მარგოლინის“ ტიპის იარაღით მოიკლა. მას გამჭოლი ჭრილობა მარცხენა ყურის არეში აღენიშნებოდა. სპეც-რაზმელებმა მისი გვამი ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ქჩაჩის გვამს მათ საძინებელში მიაგნეს.

– დაკავებულების დაკითხვის დროს დადგინდა, რომ ამ ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი აფხაზეთის ყოფილი შს მინისტრი ალმასბეი ქჩაჩი იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს აფხაზური პროკურატურის მაღალჩინოსანმა.

ამის შემდეგ ქჩაჩს დაუკითხავს ვინ დატოვებდა. ის სათანადო ორგანოებმა ჩვენების მისაცემად დაიბარეს.

– მან 15 აპრილს მოგვცა ჩვენება. ყველაფერი უარყო. თავი მშვიდად ეჭირა. ის სახლში დაბრუნდა. მეორე დღეს ის სხვა პირებთან ერთად მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. იქ დიდი ხნის განმავლობაში დარჩა. თითქოს რაღაც ინფორმაციის გაგებას ელოდაო. მას დაკავებულების შესახებ აინტერესებდა ინფორმაცია, – აცხადებს აფხაზი მაღალჩინოსანი.

აფხაზური მედიის ცნობით, იმ პერიოდში უკვე აქტიურად დადიოდა ხმები ქჩაჩის შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით.

ეს ხმები როგორც მერე გაირკვა, უსაფუძვლო არ ყოფილა. სპეცრაზმმა მას გაგრაში, საკუთარ სახლში მიაკითხა. კარი არავინ გააღო. სპეცრაზმმა რკინის კარები შეამტვრია. და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ სახლის ჩხრეკის დროს ქჩაჩის გვამი აღმოაჩინეს.

ალმასბეი ქჩაჩს, როგორც სჩამს აქტიურ პოლიტიკაში ყოფნა სურდა. მან მარტის თვეში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა. ბრძოლას პირველივე ტურში გამოეთიშა.

უფრო ადრე კი ქჩაჩი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს უმიზნებდა. 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. ამ პოსტზე მისი კანდიდატურა აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიამ წარადგინა. ამ პარტიიდან პრეზიდენტის პოსტზე მისი ლიდერი ბესლან ბუტბა იყრიდა კენჭს. იმ არჩევნებზე გამარჯვება სერგეი ბაღაფშს დარჩა.

ყოფილი შს მინისტრის თვითმკვლელობის ამბავი გუშინ ორმა ამბავმა გადაფარა. გაირკვა, რომ ტერაქტის ბრალდებით დაკავებულმა ერთმა პირმა საკანში თავი მოიკლა. საუბარია თემურ ხუტაბაზე.

აფხაზური მედიის ცნობით, ხუტაბამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მას შემდეგ, რაც გაიგო ქჩაჩის მიერ თავის მოკვლის ამბავი. ხუტაბამ სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო.

გაცილებით სენსაციური ინფორმაცია კი ფეისბუქის მეშვეობით გავრცელდა. აფხაზები ფეისბუქის აქტიური მომხმარებლები არიან.

„ექსპერტთა კლუბის“ ცნობით, აფხაზები ამტკიცებენ, რომ ამ ტერაქტის უკან ვლადისლავ არძინბას ქალიშვილი და სერგეი შამბას ვაჟიც დგანან. საუბარია მადინა არძინბაზე და ორხან შამბაზე. ეს უკანასკნელი ამ პერიოდისთვის აფხაზეთში არ იმყოფება.

ოფიციალური სოხუმი ამ ვერსიასთან დაკავშირებით განმარტებებს ოფიციალურად არ აკეთებს. ამბობენ, რომ ბევრი ჭორი ვრცელდება.

ჭორების საბაბი კი აფხაზებს ნამდვილად აქვთ. პატარა აფხაზეთში ყველამ იცის, რომ მამაარძინბას და ანქვაბს ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობები ჰქონდათ. არძინბას თვალში ანქვაბი ყოველთვის პროქართული ორიენტაციის ადამიანი იყო. ომის დროს მან მართლაც უამრავი ქართველი გადაარჩინა. მათ შორის როგორც სამოქალაქო პირები, ასევე სამხედროები. მას თბილისში ბევრი ნაცნობი ჰყავდა. ის წლების განმავლობაში საქართველოს შს მინისტრის მოადგილე იყო და თბილისში ცხოვრობდა.

ომის დროს მან აფხაზეთის შს მინისტრის პოსტი დაიკავა. ეს პოსტი 1993 წელს დატოვა. ამის მიზეზი ჟიული შარტავას ტრაგიკული სიკვდილი გახდა. ანქვაბი საკუთარ თავს აბრალებდა, რომ მას დააგვიანდა და შარტავას გადარჩენა ვერ შეძლო.

არძინბასთან დაპირისპირების გამო მას აფხაზეთის დატოვება კარგა ხნით მოუწია. ის ამ წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა.

არძინბასგან განსხვავებით შამბასთან ანქვაბს თითქოს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ბაღაფშის სიკვდილამდე ასე იყო. ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მათ გარდა არჩევნებში რაულ ხაჯიმბაც ღებულობდა მონაწილეობას.

ეს უკანასკნელი საკმოდ ღირსეულად იღვწოდა გამარჯვებისთვის. შამბამ კი ბინძური ხერხები გამოიყენა ანქვაბის წინააღმდეგ.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე რუსულმა მედიამ თენგიზ კიტოვანთან გამოაქვეყნა ინტერვიუ. სადაც ჩვენებური ამბობს, რომ ომის დროს ანქვაბი ქართულ მხარეზე მუშაობდა. კიტოვანი ამტკიცებდა, რომ ანქვაბი თბილისს საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა.

ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ ამ ინტერვიუს ვიდეო-ვერსიაც გავრცელდა, რომელიც შამბას მომხრეების მიტინგზე აჩვენეს. ამ მიტინგს თავად შამბაც ესწრებოდა. კიტოვანის კარტის გათამაშებას აფხაზებში საპირისპირო შედეგი მოჰყვა. ხალხი იქეთ დაეტაკა შამბას.

ცოტა ხანში კი კიტოვანის დამფასებელმა გაზეთმა ბოდიში მოიხადა. გამოცემის თქმით, შეცდომა ჟურნალისტმა დაუშვა. შამბა ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა. ამომრჩეველმა მას ზურგი აქცია.

არჩევნებში დამარცხების შემდეგ შამბამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ვარაუდობდნენ, რომ ის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. შამბამ ამ არჩევნებზე არ გამოჩენილა.

ანქვაბის ტერაქტიდან მოკლე ხანში ხმა გავარდა, ტერაქტის უკან შესაძლოა შამბაც იდგესო. ასეთ დროს ყველა ოპონენტი ეჭვმიტანილად ცხადდება, როგორც წესი. ტერაქტის დამკვეთებად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებსაც განიხილავდნენ. მათ აფხაზთა ლიდერმა სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა. მისი გაპრეზიდენტებიდან დღემდე რამდენიმე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს. რამდენიმე კი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. მათ შორის ერთ-ერთი ვალმერ ბუტბა იყო. რომელიც წლების განმავლობაში ვლადისლავ არძინბას პირადი მცველი იყო.

პრეზიდენტის რანგში გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე ანქვაბმა პირობა დადო, რომ აფხაზეთში წესრიგს დაამყარებს. ამ დანაპირებს ის მართლაც ასრულებს.

სხვათა შორის, არ გამორიცხავენ, რომ მეექვსე ტერაქტი მის მოკვლას არ ისახავდა მიზნად. ამ ტერაქტით ხალხისთვის სურდათ ეჩვენებინათ, რომ ანქვაბი თავის თავს ვერ იცავს და ქვეყანას როგორ უპატრონებდა.

ტერაქტის დღესვე ადგილობრივმა ოპოზიციამ ამ ტიპის განცხადება გააკეთა. ანქვაბს უსაფრთხოების პოლიტიკა დაუგმეს.

# მერაბიშვილი საზღვრებზე კომისრებს დააყენებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სახელმწიფოს სასაზღვრო წარმომადგენლებთან (საჭიროების შემთხვევაში – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან) ერთად მონაწილეობა მიიღონ სასაზღვრო ინციდენტების ცალმხრივ/ორმხრივ გამოძიებაში; სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით შეიმუშაონ და განახორციელონ გამაფრთხილებელი ზომები და სწრაფად მოგვარების ღონისძიებები; ზედმიწევნით დაიცვან სასაზღვრო ინციდენტების დარეგულირების წესები; საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლონ მოსაზღვრე სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან ან მათ წარმომადგენლებთან; ითანამშრომლონ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან; განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულებებით მათდამი დაკისრებული სხვა საქმიანობა.

წარმომადგენლები დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განსახორციელებლად უფლებამოსილნი არიან: აწარმოონ მიმოწერა მოსაზღვრე ქვეყნის სასაზღვრო წარმომადგენლებთან; მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გადაკვეთონ სახელმწიფო საზღვარი; საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო ინციდენტების გამოძიებაში ჩართონ შესაბამისი სპეციალისტები; საქართველოს ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეხვდნენ მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო წარმომადგენლებს, ხელი მოაწერონ შეხვედრის ოქმსა და სხვა დოკუმენტებს; განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული სხვა უფლებამოსილებანი.

წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

ამასთანავე, წარმომადგენლობითი საქმიანობის ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით შეიძლება შეიქმნას წარმომადგენლის აპარატი, სადაც წარმომადგენლის მიერ, საჭიროებისამებრ, ინიშნებიან წარმომადგენლის თანაშემწე, მდივანი, თარჯიმნები და სხვადამხმარე პირები, რომლებზეც გაიცემა უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი საბუთები. მათი საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს წარმომადგენელი. სასაზღვრო წარმომადგენლობითი საქმიანობისათვის საჭირო ბეჭდებისა და ბლანკების ფორმა მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით. სასაზღვრო წარმომადგენლობითი საქმიანობა ფინანსდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციის ბიუჯეტიდან.

# ვინ უშველის დანგრეულ ტაძრებს

თეა მარხვაიძე

მიხეილ სააკაშვილი ხშირად იწონებს თავს იმით, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოში მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა. პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მათ ასაშენებლად ხელისუფლებამ მილიონობით ლარი გამოყო. ამასთან დაკავშირებით პირველი ხმაურიანი განცხადება სააკაშვილმა შარშან გააკეთა. ეს დარიალის ხეობაში სამონასტრო კომპლექსის დროს მოხდა.

ამ თემაზე პრეზიდენტმა 2 დღის წინაც გააკეთა განცხადება. 17 აპრილს მახათას მთაზე მონასტრის მშენებლობას საძირკველი ჩაეყარა. ამ ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო და როგორც სჩვევია გულისამაჩუყებელი განცხადებაც გააკეთა.

კერძოდ, მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ ტაძრების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 50 მლნ ლარი დახარჯა.

კერძოდ, 4 მლნ დაიხარჯა ფოთის საკათედრო ტაძრის რესტავრაციისთვის, 2 მლნ გრემის აღდგენისათვის, 15 მლნ იხარჯება ბაგრატის ტაძრის აღდგენისთვის, რომელიც სექტემბერში გაიხსნება.

პრეზიდენტმა დასძინა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უამრავი ტაძარი აღდგა და ამოქმედდა. მისივე თქმით, ხელისუფლება მუშაობს იმაზე, რომ გადაარჩინოს ქართული კულტურის კერები, ხელნაწერები, ხატები, რომელიც უცხოეთშია.

ამ მიმართულებით ხელისუფლება მართლაც ბევრს აკეთებს. თუმცა, მათი თქმისა არ იყოს, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სამწუხაროდ, ხელისუფლებას რომელიმე ტაძრის აღდგენას ტოტო კუტუნიოს ჩამოყვანა ურჩევნია. გასაგებია, რომ ერს გართობაც სჭირდება, მაგრამ... თანაც ცუდი არ იქნებოდა ხელისუფლებას ჩვენი ტაძრების აღდგენაზე ისეთივე ენერგია დაეხარჯა, როგორსაც აზიზიეს მეჩეთის ოპოზიციისგან დასაცავად ხარჯავენ.

ამ წლების განმავლობაში საქართველოში ბევრი ტაძარი ჩამოინგრა. კვირა არ გავა, რომელიმე რეგიონიდან არ მოვიდეს ამის შესახებ ინფორმაცია. აქ მარტო ხელისუფლება არაა დამნაშავე. მთავარი დამნაშავე დროა. ამის მიუხედავად ტაძრების გადარჩენა მაინც შესაძლებელი იყო, ნაწილის მაინც. ურიგო არ იქნებოდა თუ მოსახლეობაც დაიკაპიწებდა ხელებს.



დღეს საქართველოში ეკლესიებს ბევრი აშენებს. ეს მართლაც მადლიანი საქმეა. ახალი ტაძარი კარგია, მაგრამ არც ძველი ეკლესიის აღდგენა იქნება მადლს მოკლებული საქმე.

შველა ბევრ ტაძარს სჭირდება. ერთ–ერთი მათგანი ფუძნარის ეკლესიაა, რომლის გადასარჩენად სხვადასხვა ღონისძიებებიც კი გაიმართა. გასულ წელს თითქოს ეს საქმე დაიძრა. თუმცა მალევე შეჩერდა. ამ ზამთარმა კი ფუძნარის ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დიდთოვლობის შედეგად ფუძნარის ეკლესიის მდგომარეობა გაუარესდა. გუმბათის ყელი უფრო ჩამოიშალა, კედლების ზემოთა ნაწილები კიდევ ჩამოინგრა, ეკლესია მარცხნივ გადაიხარა და ბზარები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

დუშეთის რაიონის სოფელ ფუძნარში მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში აშენებული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ნგრევის შესახებ მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა ფოტორეპორტაჟი გასული წლის გაზაფხულზე მოამზადა.

დეკემბერში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფუძნარის ღვთისმშობლის გუმბათოვან ტაძარს განადგურება აღარ ემუქრებოდა.

სააგენტოს ინფორმაციით, ძეგლის ურთულესი მდგომარეობის მიუხედავად, მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნების მიზნით, სპეციალისტებმა, ახლად შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, 2012 წელს განსახორციელებელი ფიზიკური სამუშაობის მეთოდოლოგია უკვე განსაზღვრეს. „სამგანზომილებიანი კვლევის შედეგად ფუძნარის ტაძარი იმაზე რთულ მგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ის შეუიარაღებელი თვალით ჩანს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2011 წელს მომზადდა ფუძნარის გადარჩენის საპროექტო დოკუმენტაცია. ძეგლის ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის გადაწყვეტილებით, ფუძნარის დროებითი გამაგრების გარდაუვალი სამუშაოები დაწყებულია. რესტავრატორები სპეციალურ ხარაჩოსა და ხის საყრდენ კონსტრუქციებს ამონტაჟებენ, რომელიც ძეგლს ზამთრის ნალექებისგან მოსალოდნელი ახალი დაზიანებებისგან საგანგებოდ დაიცავს“, – იტყობინებოდა სააგენტო.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ეკლესიის შესასვლელის და მარცხენა კედლის მხრიდან რამდენიმე ხარაჩოს დაყენების შემდეგ, ფუძნარის ტაძრის გადასარჩენად სააგენტოს აღარაფერი გაუკეთებია.

ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი და დუშეთის რეგიონში ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი გუმბათიანი ტაძარია. ეკლესია წილკნისა და დუშეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

# კალმახელიძის ექიმები ტუბერკულოზს სახეში გალაწუნებით კურნავენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე


ხათუნა კალმახელიძე

თქმით, ეტაპირებისას მსჯავრდებული მ.კ. იმდენად შეუძლოდ გრძნობდა თავს, რომ მიკროავტობუსით მგზავრობისას ჩამოვარდა სკამიდან, დაარტყა ცხვირი და წამოუვიდა სისხლი.

— შ.კ.-ს თქმით, ქუთაისის №2 დაწესებულებაში შეყვანის შემდგომ იგი მურმანთან ერთად მოათავსეს №107 საკანში, ე.წ. ბოქსში. შ.კ.-ს განმარტებით, მურმანი იყო ძალიან ცუდად, თუმცა დაწესებულების ექიმმა მას მისცა მხოლოდ ვალიდოლი. მსჯავრდებულის თქმით, მან კვლავ მიმართა ექიმს და უთხრა, რომ მსჯავრდებული იყო უგონოდ და ესაჭიროებოდა დახმარება, რაზეც ექიმმა შ.კ.-ს მისცა „რჩევა“, გაულაწუნე და გამოფხიზლდება, „ტუბმა“ ასე იცისო. მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ მამუკა კ. ცოტა ხანში გარდაიცვალა. მსჯავრდებული გ. ო.-ც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მამუკა კ. იყო ძალიან ცუდად, რის გამოც მიკროავტობუსით მგზავრობისას ჩამოვარდა და დაეცა სახით.

პენიტენციურ სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებზესაქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია საუბარი. ზემოთ აღწერილი ფაქტები ცხადყოფს ავადმყოფი პატიმრისადმი დანაშაულებრივ გულგრილობას ზუგდიდის №4 და ქუთაისის №2 დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისა და ზოგადად, ადმინისტრაციის მხრიდან. უმძიმესი ავადმყოფი, ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებამდე, ზუგდიდის №4 დაწესებულების პირობებში იმყოფებოდა, სადაც ჯანმრთელი პატიმრების განთავსებაც კი არ არის მიზანშეწონილი.

ზუგდიდიდან ტრანსპორტირებისას საჭიროდ არ მიიჩნიეს მძიმე ავადმყოფის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში. ამის მაგივრად იგი საბადრაგო მიკროავტობუსით გადაიყვანეს ქუთაისის №2 დაწესებულებაში, სადაც ასევე ადეკვატურად არ შეაფასეს მსჯავრდებულის მდგომარეობა და იგი მოათავსეს არა სამედიცინო ნაწილში, არამედ „ბოქსში“, სადაც ზოგადად არაადამიანური პირობებია, მით უმეტეს, მამუკა კ.-ს მდგომარეობაში მყოფი პირისთვის „ბოქსის“ პირობებში ყოფნა აბსოლუტურად დაუშვებელი იყო, — აცხადებს ტუღუში.

სახალხო დამცველის აზრით, სავარაუდოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო ლეტალური შედეგის დადგომას. სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით და მოთხოვნით, განხილულიყო ზუგდიდის №4 და ქუთაისის №2 დაწესებულებების შესაბამის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

— საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ 2011 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება საქმეზე, 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამავე პასუხის თანახმად, საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, სახალხო დამცველის მიერ დასახელებული მსჯავრდებულები, ასევე, სასჯელაღრულების დეპარტამენტის №2 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი. გამოძიების დროს დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაინიშნა სასამართლო სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზები. 2012 წლის 7 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულ მურმან კ.-ს სიკვდილის უშუალო გამომწვევი მიზეზი არის ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, განვითარებული ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზის შედეგად და მისი გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის სხვა პირის ბრალეულ ან არამართლზომიერ ქმედებასთან, — აცხადებს სახალხო დამცველი.

ტუღუშის ინფორმაციით, პასუხის თანახმად, 2011 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხებით ჩანს, რომ გამოძიებამ საჭიროდ არ მიიჩნია, დაეკითხა ზუგდიდის №4 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი. გამოძიება ასევე არ დაინტერესებულა საკითხით, თუ რატომ იმყოფებოდა უმძიმესი ავადმყოფი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებამდე, ზუგდიდის №4 დაწესებულებაში და ტრანსპორტირებისას რატომ არ მიიჩნიეს საჭიროდ ასეთი მძიმე ავადმყოფის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაეყვანათ სამკურნალო დაწესებულებაში.

— საქმეში ,,მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც ევროსასამართლომ ევროკონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სახელმწიფომ არ მიიღო დროული და ადეკვატური ზომები ნ. მახარაძის სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ციხეში დაავადებული იყო ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმით. ,,სასამართლო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ყველა ეს ხარვეზი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მიუხედავად ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმების გავრცელების სულ უფრო და უფრო შემაშფოთებელი მასშტაბებისა და ამასთან დაკავშირებული სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლისა საქართველოს ციხეებში, რომელიც ქვეყანაში აღინიშნება მრავალი წელია, სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა მხოლოდ 2008 წლის მარტში დაიწყეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს რეკომენდებული ჯანდაცვის სტანდარტული ზოგადი ღონისძიებების გატარება. სახელმწიფოს მიერ სამედიცინო სფეროს ამგვარი მანკიერი მართვა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ან ხელი შეუწყო პირველი განმცხადებლის სიკვდილს, არ შეიძლება იქნას გამართლებული რესურსების ნაკლებობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ხარვეზების თუნდაც ნაწილი დროულად აღმოიფხვრებოდა, პატიმარი დროულად რომ გადაეყვანათ ადეკვატურ სამკურნალო დაწესებულებაში ან რომ გადაევადებინათ მისი სასჯელი სრულ ან ნაწილობრივ გამოჯანმრთელებამდე. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს მძიმე ავადმყოფისთვის თავისუფლების აღკვეთას ან მის ციხეში დატოვებას, მან ავადმყოფისთვის უნდა უზრუნველყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სპეციფიკური საჭიროებების ადეკვატური პირობები, — ასეთი მაგალითი მოჰყავს გიორგი ტუღუშს.

# მანანა ნაჭყებია: საქართველოში რევოლუციური განწყობა არ არის“

## რეგიონებში მოსახლეობის მოსყიდვა უფრო ადვილია

შორენა კოწოწაშვილი

**მიხეილ სააკაშვილის მხრიდან განსაკუთრებულ აქტიურობასა და წინასაარჩევნო პიარში ჩაბმაში ახლები ახალს ვერაფერს ხედავენ და აცხადებენ, რომ სააკაშვილი მუდმივად იყო თავისი პარტიის გამწევი ძალა. მანანა ნაჭყებია პრეზიდენტის აქტიურობას წინასაარჩევნოდ იმით ხსნის, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ყველაზე დიდი რეიტინგი სააკაშვილს აქვს; ანუ „მიშას სიტყვა სხვანაირად ჭრის და ამიტომ ნაცმოძრაობაც ამ შანსს ხელიდან არ უშვებს“.**

**რჩება თუ არა სოფლის მოსახლეობა მმართველი ძალის დასაყრდენად ოქტომბრის არჩევნებში და ილუზიაა შემოდგომაზე რევოლუციური სცენარის განვითარება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.**

***— ქალბატონო მანანა, პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი თავის თანაგუნდელებს არ ენდობა და ამიტომ თავად აწარმოებს მმართველი გუნდის წინასაარჩევნო კამპანიას. შეძლებს ამ გზით ის გუნდის ერთიანობის შენარჩუნებას?***

— მე ვერ გეტყვით, რომ ახლა რაღაც განსაკუთრებული პირობებია. იყო პერიოდი, როცა ხელშესახები იყო ოპოზიციის გამარჯვება. მას ჰქონდა ბევრად მეტი რეიტინგი. ხელისუფლება აცნობიერებდა მძიმე მდგომარეობას და მაშინაც წინა პლანზე სააკაშვილი ჰყავდათ გამოყვანილი. არა მგონია, რომ ამ თვალსაზრისით რაიმე განსხვავება იყოს. ცხადია, შემოდგომაზე კონკურენტუნარიანი არჩევნებია მოსალოდნელი. საზოგადოება თანდათან რწმუნდება, რომ არსებობს შანსი არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება. სწორედ ამას პასუხობს სააკაშვილი და ნაცმოძრაობა პრეზიდენტის აქტიურობით. რაც შეეხება განსხვავებას, ახლა განსაკუთრებული არაფერი ხდება, სააკაშვილს ამაზე აქტიური საარჩევნო პერიოდიც ჰქონია.

***— აქამდე მმართველი ძალა წარმოაჩენდა, რომ დაუმარცხებელი ძალა იყო. შიშის მომენტი თუ გაჩნდა ამ ეტაპისთვის?***

— ცხადია. შიშის მომენტები იკვეთება. ეს მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. განაპირობა იმანაც, რომ პოლიტიკურ მოედანზე მსხვილი მოთამაშე შემოვიდა ბიძინა ივანიშვილის სახით. ხალხში გაჩნდა იმედი, რომ არჩევნებით შეცვლის ხელისუფლებას. ხელისუფლება მას კარგად აცნობიერებს. იმასაც კარგად ხვდება, რომ ეს არჩევნები იქნება გამადიდებელი შუშის ქვეშ და ოქტომბრის არჩევნებისადმი ინტერესი არნახულია. განსაკუთრებული მოლოდინია როგორც ამერიკის მხრიდან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ამ არჩევნების მამართ. თითოეულ გადაცდომაზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა, საკმაოდ სერიოზული რეაქცია იყო ამერიკის და მისი ელჩის მხრიდან. სახელმწიფო დეპარტამენტი სერიოზულად აკრიტიკებს სააკაშვილის ხელისუფლებას არადემოკრატიული ნაბიჯების გამო. ბუნებრივია, ამ არჩევნების მიმართ საკმაოდ განსხვავებული მოთხოვნებია და თამასაც მაღლა არის აწეული სამართლიანობისა და დემოკრატიულობის კუთხით.

***— ,,ქართული ოცნების“ წევრები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებამ დასავლეთის ნდობა დაკარგა. ამიტომ სააკაშვილმა უფრო რუსეთისკენ აიღო კურსი.***

— განსაკუთრებული ცვლილება სააკაშვილის ნდობა-არნდობის მიმართ არა მგონია, შეინიშნებოდეს. ნაწილი სახელმწიფოებისა ენდობა მას, ნაწილში ნდობა დაკარგა, თუმცა 2008 წლის შემდგომ მას ჰქონდა უფრო მძიმე პერიოდი. თუმცა მოახერხა მისი გადაგორება. ნდობის ლიმიტის ამოწურვაზე, ვფიქრობ, ჯერჯერობით ლაპარაკი არ უნდა იყოს. წინა არჩევნების დროს ხელისუფლება უფრო ახერხებდა ნაკლებად სამართლიან გარემოში ჩაეტარებინა არჩევნები. დღეს ეს გაუჭირდება.

***— პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან შემოდგომაზე კავკასიაში სამხედრო წვრთნების ჩატარება პირდაპირ კავშირშია საქართველოში საპარლამენტო არჩევნებთან და ეს არის იმისი მინიშნება, რომ რუსეთი მმართველი ძალის ინტერესებს დაიცავს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***



— მე გამოვრიცხავ, რომ ეს ხელოვნურად იდგმებოდეს და კეთდებოდეს. მართალია, განმუხურის ცნობილი ინციდენტი ხელოვნურად დაიდგა, მაგრამ ახლა არჩევნების გზით ბუნებრივად პრეზიდენტად ისევ პუტინი მოვიდა. პუტინის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ ყველასთვის ცნობილია. პუტინის სიხისტეს სააკაშვილი კარგად იყენებს. არა მგონია, რუსეთი გამიზნულად დგამდეს სააკშვილისთვის სასარგებლო ნაბიჯებს. უბრალოდ, როგორც გითხარით, სააკაშვილს კარგი ყნოსვა აქვს და ახერხებს ანტირუსული ისტერია შექმნას ქვეყანაში. ოპოზიციას მიაკეროს იარლიყები და ეს ფაქტორი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

***— შეიცვლა თუ არა დამოკიდებულება რეგიონებში ხელისუფლების მიმართ და იქნება თუ არა მართლაც სააკაშვილის ხელისუფლება მხოლოდ რაიონების მოსახლეობის იმედად?***

— ცხადია, რაიონებში უფრო მეტად გამოსდის ხელისუფლებას მისთვის ტრადიციული დაშინებაც და მოსყიდვაც. სოფლები პატარაა, ხელისგულზე ჩანს თითოეული ადამიანის ცხოვრება. ნაცმოძრაობის წევრებმა კარგად იციან, ვინ რით სუნთქავს, ამიტომ მუქარაც და შიშიც იოლად გასდიოდათ. მაგრამ ბოლო პერიოდში სოფლებში იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ ახლა ნაკლებად მგონია ხელისუფლებამ შეძლოს სოფლის მოსახლეობის მოტყუება. მათი ილუზიების ტყვეობაში მოქცევა. ძალიან მწვავე შეხვედრები იმართება და ხალხიც ღიად აფიქსირებს, რომ მათ აღარ ეშინიათ. ჩვენი შეხვედრები გარშემორტყმულია კუდის და სოდის თამაშრომლებით, მაგრამ სოფლის მოსახლეობა მაინც ლაპარაკობს თავის პრობლემებზე. ხალხი ამბობს, რომ ვერ ამუშავებს მიწას, რომ არ აქვთ წყალი, გზები. ხელმიუწვდომელია მათი შვილებისთვის ხარისხიანი განათლება. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს ხალხი ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობას, წამლების სიძვირეს. ამაზე ღიად ლაპარაკობენ. ვეჭვობ, ხელისუფლებამ არჩევნებამდე მოაგვაროს ეს პრობლემები. ამიტომ, ჩემი აზრით, სააკაშვილისთვის ბელელი სოფლის მოსახლეობა ნამდვილად ვერ იქნება ამ არჩევნებზე.

***—პრეზიდენტი აპიარებს, რომ რაიონებში თანამედროვე სტანდარტების კლინიკები გაიხსნა და რომ ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომია.***

— ამ საავადმყოფოებმა კიდევ ერთხელ გაამწვავა ვითარება იმიტომ, რომ იქ მომსახურებას ძალიან ძვირია და ხალხი ვერ მკურნალობს. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ ამ საავადმყოფოებს მუზეუმები დაარქვა. ამ საავადმყოფოებმა გაჭირვებული ადამიანები კიდევ უფრო გააღიზიანა. სამედიცინო მომსახურება უფრო გაძვირდა. დავუშვათ, სისხლის საერთო ანალიზი ადრე თუ 5 ლარი ღირდა, ახლა 15-17 ლარია. ამიტომ ახალი საავადმყოფოები ხელისუფლებას პლუსში ნამდვილად ვერ ეწერება. უდიდეს სიღატაკეში მყოფი სოფლის მოსახლეობა, ვეჭვობ, კიდევ ერთხელ მოტყუვდეს. ხალხი მხოლოდ იმით არის კმაყოფილი, რომ შუქი აქვთ. ერთადერთ დადებითად ამას აღნიშნავენ, რომ ელექტროენერგია აქვთ. ხალხი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს იმას, რომ არა აქვთ წყალი, როგორც სასმელი, ისე სარწყავი და რომ უყიდიან მიწებს ისე, რომ საქმის კურსში არ არიან გლეხები. არ აქვთ სკოლებში ნორმალური პირობები ბავშვებს, სწავლების დაბალი ხარისხია.

***— თქვენ მიწის პრობლემა ახსენეთ. დადებითად შეხვდა ხალხი 30- ლარიან ვაუჩერს?***

— ტექნიკა და საწვავის სიძვირე — ეს ორი პრობლემაა სოფლად. ხალხი მტკივნეულად აღიქვამს შხამქიმიკატების სიძვირესაც. კარგია, რომ ტრაქტორები შეიყვანეს სოფლებში. იმდენი ვიყვირეთ ,,ახლებმა“, რომ ტრაქტორები სჭირდებათ გლეხებს მიწის დასამუშავებლად, რომ შეიყვანეს. ხელისუფლების მიერ შექმნილი ილუზია, რომ სოფლად ყველაფერი კარგადაა, საპნის ბუშტივით სკდება. საწვავი ძალიან გაძვირდა. გლეხისთვის არც ტრაქტორია. 30-ლარიანი ვაუჩერის მიმართ ისეთი აგრესიაა, ვერ წარმოიდგენთ. ხელისუფლებას ხომ ჰგონია, რომ ეს მისი პლუსია, მაგრამ ამ ვაუჩერმა უფრო მეტი აგრესია გააჩინა, რადგან მეორე დღესვე საწვავი გაძვირდა. გლეხობამ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს კარგად დაუკავშირა. ერთადერთი მინისტრი, რომელიც ,,ახლების“ განცხადებებს გამოეხმაურა და იმ პრობლემებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობას აწუხებს, არის ჯანდაცვის მინისტრი ჭიაბერაშვილი. ამ მთავრობამ შეცვალა გადაწყვეტილება და 67 წლის ასაკის ნაცვლად, ისევ 65 წლამდე გადმოიტანა პენსიონერთა დაზღვევა. ასევე, რაც მთავარია, ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ უნდა გადაიხედოს ის კრიტერიუმები, რომლითაც დგინდება უმწეოების ქულა. სასაცილოა ადამიანს მაცივრის ქონა, რომელიც დენზეც არ არის ჩართული და თან ცარიელია, ჩაუთვალო ქონებად და ამის გამო სოციალურ დახმარებაზე უარი უთხრა. ველოდები ხელისუფლება როდის გადახედავს ამ პრობლემას.

***— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება სულ უფრო მატულობს. ასეა?***

— მე ვფიქრობ, მატულობს. ზემოთაც გითხარით, რომ წნეხი და შიშის ფაქტორი ჯერ კიდევ მუშაობს სოფლად. განსაკუთრებით შიდა ქართლში გამაოცა ამ სპეცსამსახურების აქტიურობამ. მოსახლეობის ნაწილმა ეს შიში გადალახა, რადგანაც ხვდებიან, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ. დღეს სოფლად უფრო მეტია ადამიანი, ვისაც ხელისუფლება ვერაფერს წაართმევს, გარდა თოფისა. ერთადერთ, თოხები შერჩა ხალხს. შიშის ფაქტორი ნაწილობრივ დაძლეულია.

***— დაბოლოს, რევოლუციური განწყობა თუ არის რეგიონებში და მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, სოციალური აფეთქების საშიშროება თუ არსებობს?***

— არა, რევოლუციური განწყობა ნამდვილად არ შეინიშნება და თუ ვინმეს აქვს ოქტომბრის რევოლუციის მოლოდინი, ძალიან ცდება. ვფიქრობ, საზოგადოებას უნდა სტაბილურობა. პროცესი არ უნდა გადაიზარდოს სამოქალაქო დაპირისპირებაში. და რაც შეეხება სოციალურ აფეთქებას, ჩვენი დაკვირვებით, ჯერჯერობით არც ის არ იკვეთება.

# ნინო კალანდაძე: დიტერ ბოდენთან ურთიერთობები უნდა შევზღუდოთ

ნათია ხურცილავა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, გერმანია საქართველოს დიდ მხარდაჭერას უწევს და იმედოვნებს, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ამის შესახებ კალანდაძემ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კორნელია პიპერთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. კალანდაძის თქმით, საქართველო-გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციაა ჩამოსული.

– შეხვედრაზე ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი განვიხილეთ, როგორც საქართველოში, ისე რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბრეთ. საუბარი შეეხო ასევე საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს. ჩვენ გერმანია დიდ მხარდაჭერას გვიცხადებს და ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა გაგრძელდება. – განაცხადა კალანდაძემ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კორნელია პიპერმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველო და გერმანია სხვადასხვა სფეროში საკმაოდ მჭიდროდ და წარმატებულად თანამშრომლობენ, მათ შორის საგარეო ურთიერთობების კუთხითაც.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, გერმანია მიესალმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომელშიც საქართველომ ბევრ წარმატებას მიაღწია.

საქართველოში აღნიშნული ვიზიტი გერმანელი დიპლომატის განცხადებით გერმანიის პირველი დიპლომატის გვიდო ვესტერველეს საქართველოში ვიზიტის გაგრძელებაა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კორნელია პიპერის ვიზიტი ხვალ დასრულდება.

ვიზიტის ფარგლებში ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინსაც შეხვდება და საქართველოში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე გაამახვილებენ ყურადღებას.

მოლაპარაკებებზე დადგა თუ არა დიტერ ბოდენისა და გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატის საქართველოში ჩაშლილი ვიზიტის შეახებ საკითხი? საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძის მტკიცებით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კორნელია პიპერს მასთან შეხვედრაზე გერმანიის მარშალისა და ბოშის ფონდების მიერ ორგანიზებული ვიზიტის ჩაშლის საკითხი არ დაუყენებია.

– ეს საკითხი არც ერთი სიტყვით ნახსენები არ ყოფილა და ეს ბუნებრივიც არის. სახელმწიფო ამაში შეგნებულად არ ერევა. ამდენად, ყოველგვარი სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ ფონდებმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი მისწერეს, არ გაჟღერებულა და არ დასტურდება. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ურთიერთობებში ვერ ჩაერევა და არც აქვს ამის სურვილი. – განუცხადა კალანდაძემ. როგორც ცნობილია, გერმანიის მარშალისა და ბოშის ფონდების მიერ საქართველოში უცხოელი ექსპერტების, პოლიტიკოსების ჯგუფის ვიზიტი იგეგმებოდა, რომელიც მოგვიანებით ჩაიშალა, რისი მიზეზიც საქართველოს პრეზიდენტის მიერ დელეგაციის წევრ დიტერ ბოდენთან შეხვედრაზე უარის თქმა გახდა. გერმანული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტის მიერ ასევე დაწუნებულ იქნა ბუნდესტაგის დეპუტატი „მწვანეთა პარტიიდან" ვიოლა ფონ კრამონი, თუმცა ოფიციალური თბილისი ფონ კრამონთან დაკავშირებით ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების, ნინო კალანდაძის და კორნელია პიპერის შეხვედრაზე, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში „მარშალისა" და „ბოშის" ფონდების დელეგაციების ვიზიტის ჩაშლის საკითხი არ განხილულა. ამის შესახებ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ნინო კალანდაძემ განუცხადა.

მისი თქმით, ამ საკითხს მხარეები არც კი შეხებიან. კალანდაძის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს ფონდებმა ვიზიტის ჩაშლასთან დაკავშირებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილით მიმართეს.

– ყოველგვარი სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ ფონდებმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი მისწერეს, სიმართლეს არ შეესაბამება. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ურთიერთობებში ვერ ჩაერევა და არც აქვთ ამის სურვილი. – განაცხადა კალანდაძემ.

რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დიტერ ბოდენის განცხადება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უარი განაცხადა, მიეღო „მარშალისა" და „ბოშის" ფონდების დელეგაცია, თუ მის შემადგენლობაში ბოდენი იქნებოდა.

თავის დროზე კალანდაძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე ოფიციალურ დონეზე ზღუდავს დიტერ ბოდენთან ურთიერთობას, რადგან ის აკრიტიკებს საქართველოს ინიციატივებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

# თბილისი ისევ კლინტონის მოლოდინშია

ნათია ხურცილავა

ჯერ ისევ უცნობია, როდის ეწვევა საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.

ვიზიტი პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის დროს დაიგეგმა. მაშინ პრეზიდენტმა სახელმწიფო მდივნის მასპინძლობის ადგილიც დაასახელა.



ჯონ ბასი

ჰილარი კლინტონის ვიზიტი სწორედ ბათუმში უნდა გამართულიყო.

ჯერ უცნობია, ვიზიტი როდის შედგება. ასევე უცნობია ბათუმში ჩაბრძანდება ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დიპლომატი თუ თბილისში. – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის თარიღი ამ დროისთვის ცნობილი არ არის. – ამის შესახებ ჟურნალისტებს შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განუცხადა.

– ჰილარი კლინტონის ვიზიტის თარიღის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით და, როგორც კი შევიტყობთ ამას, რა თქმა უნდა, თქვენც შეგატყობინებთ. – აღნიშნა ჯონ ბასმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, რომ მიმდინარე კვირის ბოლოს ბრიუსელში გაიმართება ნატო-ს მინისტერიალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჰილარი კლინტონი.

ჯონ ბასის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ისაუბრებს ავღანეთში მიმდინარე ნატო-ს ოპერაციაზე და მისი გაგრძელების პერსპექტივებზე. – განხილვის თემა იქნება ასევე ნატო-ს მისიაში საქართველოს მონაწილეობა, რომლის გამოც ჩვენ ქართული მხარის ძალიან მადლიერი ვართ. – განაცხადა ბასმა. ბრიუსელში დაგეგმილ მინისტერიალზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ნატო-ს მიმდინარე ოპერაციების შემდეგ ეტაპებზე ისაუბრებს.

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა შავი ზღვის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრამდე განაცხადა.

როგორც ცნობილია, ნატო-ს მინისტერიალი ბრიუსელში კვირის ბოლოსთვის არის დაგეგმილი, სადაც ქართულ დელეგაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე უხელმძღვანელებს. სავარაუდოდ, მინისტერიალის ფარგლებში გრიგოლ ვაშაძისა და ჰილარი კლინტონის შეხვედრა გაიმართა.

# მემარჯვენეები სოფელ-სოფელ დადიან

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერები განაგრძობენ საქართველოს რეგიონებში მოგზაურობას. სოფელ–სოფელ სიარული და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი, მათი განცხადებით, იმ პრობლემას უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს, რომლის წინაშეც დღეს გლეხი დგას.

„ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, „ხელისუფლების მხრიდან დაპირებების შესრულების მოლოდინში ახალციხის სოფლებში წლები გავიდა".

როგორც „ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა დავით გამყრელიძემ და ფიქრია ჩიხრაძემ ახალციხის რაიონის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ განაცხადეს, ბოლო წლებია, სხვილისისა და ვალეს მოსახლეობა დაპირებებით ცხოვრობს.

– დაპირებული იყო შიდა გზები, სასმელი წყალი, სარწყავი, მაგრამ წლები გადის და ეს დაპირებები არ სრულდება. თვითონ ახალციხეში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო რალაც ცვლილებები თუ იგრძნობა, სოფლებში აბსოლუტური სტაგნაციაა. დაბა ვალე, რომელსაც თითქოს რაღაც პერსპექტივები ჰქონდა, დღეს რაიმე პერსპექტივის გარეშეა დარჩენილი. – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

ჩიხრაძის განცხადებით, არათუ ჩქაროსნული რკინიგზის გაკეთება, რომელიც ვალეს თბილისთან დააკავშირებდა, არამედ არსებული მოძველებული მატარებელიც კი გაუქმებულია.

„ახალი მემარჯვენეები" დიზელის საწვავის აქციზის გადასახადისგან და დღგ-სგან გათავისუფლების ინიციატივით გამოდიან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. პრესკონფერენციაზე ლევან კალანდაძემ განაცხადა, ამ ინიციატივის განხორციელება ქვეყანაში დიზელის საწვავს დაახლოებით 65 თეთრით გააიაფებს და გლეხებისა და ფერმერებისთვის მისი შეძენა უფრო ხელმისაწვდომი გახდება. გარდა ამისა, ლევან კალანდაძე ხელისუფლებისგან საწვავის რეალური, არამონოპოლიური საბაზრო ფასის უზრუნველყოფის მიზნით, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის რეგულაციების რეალურად ამოქმედებას მოითხოვს.

– ხელისუფლება თავის უმოქმედობით და პასიური პოლიტიკით პირდაპირ უწყობს ხელს საწვავზე მონოპოლიურად მაღალი ფასების შენარჩუნებას და ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კარტელებს და მათთან დაახლოებულ სახელისუფლებო წრეებს მაღალი მოგების მიღების საშუალებას აძლევს. – აცხადებს კალანდაძე.



ფიქრია ჩიხრაძე

# მაია ფანჯიკიძე მამამისის სახელობის ბიბლიოთეკაში ვერ შევიდა

ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძეს მტკიცებით, ამბროლაურში, მამამისის, მწერალ გურამ ფანჯიკიძის სახელობის ბიბლიოთეკაში არ შეუშვეს.

კოალიცია „ქართული ოცნების" წევრის მტკიცებით, მან ბიბლიოთეკას ქართული მწერლობის საგანძურის გამოცემა ჩაუტანა, თუმცა შენობაში შესვლა ვერ მოახერხა.

„კარი დაკეტილი დამხვდა, თანამშრომლებმა მითხრეს, რომ 15:00 საათზე გაიღებოდა, თუმცა ასე არ მოხდა", – აცხადებს ფანჯიკიძე და ეჭვობს, რომ ბიბლიოთეკის კარი მისი იქ ყოფნის გამო არ გაიღო.

ბიბლიოთეკაში ფანჯიკიძის ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ შენობის კარი მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაიღო.

მედიანიუსი

# ელიზბარ ჯაველიძე: ჯონ ბასმა ქართველების ჩახოცვას მწვანე შუქი აუნთო!"



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ბასი რაც უფრო მალე წავა საქართველოდან, მით უკეთესია. ამის შესახებ „ნიუსპრესს" „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ელიზბარ ჯაველიძემ განუცხადა.

ჯაველიძე ჯონ ბასის საქმიანობას საქართველოში უარყოფითად აფასებს და ამის მაგალითად 2011 წლის 26 მაისის მოვლენები მოჰყავს.

„დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენელმა ბასმა დიპლომატიური ენით თქვა, რომ აქციის წევრები უნდა დასჯილიყვნენ, რითაც ქართველი ხალხის ჩახოცვას მწვანე შუქი აუნთო", – განაცხადა მან.

ჯაველიძის თქმით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ზონდერბრიგადები უდანაშაულო ხალხს სწორედ ბასის განცხადების შემდეგ მიუსია.

„ეს ბასის დამსახურებაა, ის როდიონოვზე უარესია, რაც მალე მიბრძანდება საქართველოდან, ხალხი მით უფრო მადლობელი დარჩება. მისი სამართალი შერჩევითი იყო. იგი არც პოლიტპატიმრების საკითხზე რეაგირებდა" – აღნიშნა ჯაველიძემ.

ამასთან, იგი ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ჯონ ბასის საქმიანობის დადებითად შეფასებას, მხოლოდ პირად პოლიტიკურ ინტერესს უკავშირებს.

„მის საქმიანობას დადებითი შეფასება იმ ე.წ. ოპოზიციონერებმა მისცეს, რომლებიც პარლამენტში როგორმე მოხვედრას ცდილობენ. მსგავსი შეფასებების უკან პირადი ინტერესები დგას" – განაცხადა ელიზბარ ჯაველიძემ.

ჯონ ბასს საქართველოში ელჩის თანამდებობაზე მუშაობის ვადა მიმდინარე წელს ეწურება. მას რიჩარდ ნორლანდი შეცვლის. ბასი საქართველოში აშშ-ს ელჩად 2009 წლის ოქტომბერში დაინიშნა.

ნიუსპრესი



# გიგი უგულავა ბერლინში იმყოფება

თბილისის მერი გიგი უგულავა ოფიციალური ვიზიტით ბერლინში იმყოფება.

გიგი უგულავა ბერლინის მერს კლაუს ჰოვერაიტს შეხვდა. მათ თბილისსა და ბერლინს შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის, კულტურული კავშირების განმტკიცებისა და ქალაქის მართვის სფეროებში გამოცდილების გაზიარების საკითხები განიხილეს.

თბილისის მერმა გერმანელ კოლეგას ქალაქში განხორციელებული ის რეფორმები გააცნო, რომელიც ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებას ეხება.

„ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის დედაქალაქებთან, განსაკუთრებით კი ბერლინთან ურთიერთობის გაღრმავება. იმიტომ, რომ ბერლინი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში"– განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, ბერლინის მერთან შეხვედრაზე ქალაქში არსებულ სტაბილურ ბიზნეს გარემოზე, ინვესტიციების მიზიდვისა და ტურიზმის განვითარებაზეც.

ნიუსპრესი

# ედპ მთავარი კომიტეტის გაფართოებულ შეკრებას გამართავს

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" დღეს მთავარი კომიტეტის გაფართოებულ შეკრებას გამართავს.

როგორც პარტიის პრესცენტრში განმარტავენ, მთავარ კომიტეტს რეგიონული ორგანიზაციების, თბილისის, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერები დაესწრებიან.

„განახლებული „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" ახალი სტრატეგიითა და ტაქტიკით აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას. მოხდა პროგრამის განახლება და თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო ედპ-ს ძირეული ფასეულობები ეროვნულ ინტერესთან, დედა-ეკლესიასთან და ქვეყნის დასავლურ ორიენტაციასთან მიმართებაში უცვლელია"– აცხადებენ ედპ-ს პრესსამსახურში.

ედპ-ს განახლებულ პროგრამაში ძირითადი აქცენტი ქვეყნის მთავარ პრობლემაზე – უმუშევრობაზეა გაკეთებული.

პარტიის მთავარი კომიტეტის გაფართოებული შეკრება ედპ-ს „კარდაკარის კამპანიის" შემდეგ, მეორე ეტაპის დაწყებას უკავშირება, რომლის ფარგლებში ედპ საქართველოს ყველა ოჯახში პროგრამით – „დასაქმებული საქართველო" მივა.

ნიუსპრესი

# არაყზე შესაძლოა აქციზი გაძვირდეს

არაყზე შესაძლოა, აქციზის განაკვეთი გაიზარდოს. ცვლილება აღნიშნულთან დაკავშირებით „საგადასახადო კოდექსში" შედის. საგადასახადო კოდექსის დღემდე მოქმედი რედაქციით, არაყზე აქციზის განაკვეთი 3 ლარია, სამომავლოდ, კი შესაძლოა, 5 ლარამდე მოიმატოს. ცვლილებების თანახმად, თავიდან ყალიბდება იმპორტის გადასახადის განაკვეთების ცხრილებიც. კანონპროექტის ინიციატორი მთავრობაა. პროექტის განხილვა კი – საპარლამენტო კომიტეტებში ჯერ არ დაწყებულა.

ნიუსპრესი

# რა როლს ასრულებდა ვარდების რევოლუციის დროს იგორ ივანოვი?

თამარ ნინიძე

ქვეყანაში, სადაც პრემიერ–მინისტრს კლავენ და ხელისუფლება დუმს და ამ მკვლელობას არათუ არ იძიებენ, საერთოდ არაფრად აგდებენ, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებასაც კი არ გრძნობენ, ყველაფერია მოსალოდნელი. ვინ იცის, იქნებ მიშიკომ კარგად იცის, ჟვანია მოკლეს თუ უბედურ შემთხვევას შეეწირა. მერაბიშვილი რაღაც საათებში ხსნის რიგით მკვლელობებს, რომ მოინდომოს, ჟვანიას მკვლელობასაც კი გახსნის, მაგრამ ეს საქმე ვიღაცის თუ რაღაცის გამო თაროზეა დაუდევრად შეგდებული და იმტვერება, არავინ იცის პარტარკაციშვილის მოულოდნელი სიკვდილი მართლა გულის შეტევის ბრალი იყო თუ სხვა რამის. დიდი ხანია ცნობილია, რომ არსებობს ნივთიერებები, რომელიც ადამიანის სხეულზე მიკარების დროს ინფარქტის პროვოცირებას ახდენს და სიმპტომებით ძალიან ჰგავს გულის შეტევას. ამიტომ არაფერია გასაკვირი. მით უმეტეს, იქ, სადაც „ტოტალური კონტროლია ადამიანის აზროვნებაზე, მეტყველებაზე, ქცევაზე“ – ეს სიტყვები მწერალ კოტე ჯანდიერს ეკუთვნის, „პრესა ჯი ტივი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ასე აღწერა სააკაშვილის ხელისუფლების მართვის სტილი. „ის, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი (ქვეყნის) მტერია“, სააკაშვილი და მისი კამპანია ასე ექცევა განსხვავებულ აზრს, მაგალითად, თუ ვინმე მათ არ ეთანხმება და მათი არადემოკრატიული მართვის სტილის შესახებ საუბრობს, მტერია პირადად მიშიკოსი და მისი კამპანიის, რატომღაც ნაცები „პირად მტრებს“ სახელმწიფოს მტრებად მიიჩნევენ, აი, დაახლოებით ისე, ლავრენტი ბერია რომ მიიჩნევდა.

რა არის ბოლშევიზმი, თაობებმა უკვე კარგად გაიგეს, ვიცით, რა არის ზოგადად ნებისმიერი იზმი, ეს მომაკვდინებელი და გაუკუღმართებული აზროვნების კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებაა, ნაცების იდეოლოგიას საერთო არაფერი აქვს არც დემოკრატიასთან და არც პატრიოტიზმთან, მიშიზმი ისეთივე სახიფათოა, როგორც კომუნიზმი ლენინიზმი და ნებისმიერი სხვა იზმი. კოტე ჯანდიერმა ზუსტად განსაზღვრა, რომ სააკაშვილს არ გააჩნია იდეოლოგია, მთელი მისი იდეოლოგია – ეს არის „შეუზღუდავი ძალაუფლების მანიაკალური წყურვილი“.



**რაც უფრო ნაკლები დრო რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე, მით უფრო იმატებს ხელისუფლებაში ისტერიული დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ, ახლა ისე შორს წავიდნენ, ლამის ივანიშვილი უცხოპლანეტელს შეადარეს, იმასაც ამბობენ, რომ ბიძინამ თურმე თანაგუნდელებს შეათხზვევინა ისტორია მასზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.**

სწორედ ამის გამოვლინებაა ისტერიული კივილ-წივილი და მუმიებზე, კუდიან დედაბრებსა და ჩარეცხილებზე ნადირობა, რაც უფრო ძლიერდება სააკაშვილის ისტერია, მით უფრო ინარჩუნებს ივანიშვილი სიმშვიდეს, მისი უპირატესობა სააკაშვილზე სწორედ სიმშვიდეშია, კარგი იქნება, თუკი ივანიშვილი სიმშვიდეს ბოლომდე შეინარჩუნებს, რადგან ისტერია, ყვირილი და თვალების ბრიალი ამომრჩეველს უკვე ბობეზრდა. თავის დროზე ქარიზმატულ ლიდერად შერაცხულ სააკაშვილს ამას ამომრჩეველი პატიობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ასეთი მძიმე გამოვლინებები ელექტორატს აშინებს. რით ცდილობს სააკაშვილი დააკავოს ამომრჩეველი? ჯერჯერობით იმით, რომ ივანიშვილს რუსეთის პროექტად განიხილავს, სააკაშვილის აზრით, ეს ანტირეკლამა კარგად იმუშავებს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის წინა პერიოდის გახსენება. ვარდების რევოლუცია რომ ხდებოდა, თბილისშიც და ბათუმშიც აქტიურ როლს იგორ ივანოვი თამაშობდა. ის და არა ამერიკის ადმინისტრაციის რომელიმე მაღალი რანგის მოხელე იდგა ჟვანიასა და სააკაშვილის გვერდით. ივანოვი ცდილობდა შუამავლობას რევოლუციურ ტრიოსა და შევარდნაძეს შორის და ასევე ასლან აბაშიძესთან უმძიმესი მოლაპარაკებების დროსაც სწორედ ივანოვი ასრულებდა ლამის მთავარი ვიოლინოს როლს ორკესტრში. დღეს როცა ნაცებს ამის დავიწყება სურთ, ამომრჩევლის მეხსიერებიდან ამ დეტალების ამოვარდნა ადვილი არ არის. თუ ივანიშვილზე ლაპარაკობენ, რომ ის ელცინისა და ლებედის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებდა, სააკაშვილის გვერდით ვარდების რევოლუციის დროს, თუ არ ვცდები, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი იდგა. თუ ერთ შემთხვევაში ივანიშვილი კრემლის პროექტად განიხილება და მეტიც უცხოპლანეტელად, სააკაშვილი ვისი პროექტია, მხოლოდ ვაშინგტონის?

სააკაშვილის ხელისუფლება მერაბიშვილის, ადეიშვილის, უგულავას და ბაჩო ახალაიას სახით ცდილობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს ისეთი სურათი დაუხატოს, რომ ივანიშვილი რეგრესული და განვითარების საწინააღმდეგო ფიგურაა, რომელიც რუსული პროდუქტია და საქართველოს დასავლურ კურსს საფრთხეს უქმნის, მაგრამ ბოლო დროს დიპკორპუსის აშკარა ინრტერესის ფონზე სააკაშვილი ამას ვერ ახერხებს. საპარლამენტო არჩევნები ლაკმუსის ქაღალდივით იქნება სააკაშვილისთვის, ის გამოავლენს მის ჭეშმარიტ სახეს, კონკრეტულად კი იმას, არის სააკაშვილი რეგიონში დემოკრატიის შუქურა თუ ჩვეულებრივი ბანალური დიქტატორია, იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილი რაიმე სახით ხელისუფლებაში დარჩენას შეეცდება, ეს იქნება მკვეთრი სიგნალი დასავლეთისთვის, რომ ტყუილად მოუკლავთ თავი მიხეილისათვის კომპლიმენტების თქმით და ის ამას არ იმსახურებს, მაგრამ სასწაული რომ მოხდეს და მიხეილმა ხელისუფლებიდან წასვლის თაობაზე განაცხადოს (რაც ნაკლებად სავარაუდოა), მის გუნდში დიდი რყევები დაიწყება. მიხეილი აკავებს პროცესებს, მაგრამ ეს პროცესები მისი პასიურობის შემთხვევაში ველარ შეკავდება, კრილოვის ცნობილი იგავ-არაკისა არ იყოს, ყველა თავისკენ გაიქაჩება, უგულავას, მერაბიშვილს, ბოკერიას, გივი თარგამაძეს, ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელებს დიდი მადა და ამბიციები აქვთ. სააკაშვილი ლოკომოტივის როლშიც უკვე მოძველდა, არც მისი წინასაარჩევნო დაპირებებია მიმზიდველი. დღეს კი სააკაშვილის მიერ კონტროლირებადი მედია ჯგუფები და ცალკეული ექსპერტები აცხადებენ, რომ ივანიშვილის რეიტინგი დაეცა. ამ პროპაგანდის საპირისპიროდ არ არის გამორიცხული, 28 აპრილის აქციაზე იმაზე მეტი ხალხი მივიდეს, რაც ლევან გაჩეჩილაძეს და ნინო ბურჯანაძეს ერთად ახსოვთ. ასე რომ, ვნახოთ, წინ დიდი ბატალიები გველოდება და ასევე არაერთი საინტერესო მოვლენის მომსწრენი გავხდებით.

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: თუ ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იარსებებს

შორენა გონგლაძე

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით დაიწყო ახალი პროგრამის „ისწავლე საქართველოში“ განხორციელება, პროგრამა შემუშავებულია თურქეთში მცხოვრები ახალგაზრდობისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ თურქეთის მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ უგამოცდოდ და სრულიად უსასყიდლოდ ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ხელისუფლება თურქეთის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს, უკანა პლანზე სწევს ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ინტერესს. რამდენად გამართლებულია ხელისუფლების მიმართ გატარებული ეს პოლიტიკა, რა შედეგები შეიძლება მივიღოთ წლების შემდეგ ამ და სხვა საკითხებზე, ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი საუბრობს.**



***– ბატონო ჰამლეტ, რამდენად გამართლებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ თურქეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა, რა ხდება, დიდი თურქობა კიდევ ერთხელ დაიწყო საქართველოში?***

– თურქეთთან მიმართებაში ჩვენი პოლიტიკა ისეთია, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა, ალბათ საქართველო სულ მალე აღარც იარსებებს. სააკაშვილს და მის ოჯახს, მე მხედველობაში მყავს ქალბატონი გიული, ძალიან დიდი ტრფიალი აქვთ თურქეთის მიმართ, ეს ქალბატონი არის თურქოლოგი. მას არაერთხელ უთქვამს და ეს პატივცემულ სააკაშვილსაც გაუმეორებია, რომ თურმე თურქები არიან ჩვენი ისტორიული მეგობრები და არა მტრები. ერთი შეხედვით ეს მე მაოცებს, მაგრამ როდესაც ქალბატონი თურქოლოგი ასეთ სისულელეს აცხადებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მას ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს ისტორიაზე. ცუდი ის არის, რომ ამ ყველაფერს იზიარებს რესპუბლიკური პარტია თავიდან ბოლომდე. მე არაერთხელ მომისმენია ძმები ბერძენიშვილების ასეთი განცხადებები თურქეთის მიმართ და მას, სააკაშვილის დედის იდეას თურქეთის მიმართ, აქვს ძალიან ფართო გასაქანი თუნდაც ე.წ. ოპოზიციაში. მართალია ეს ყველა ოპოზიციონერს არ ეხება მაგრამ რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ფრთებქვეშ შეკედლებულ ე.წ. ოპოზიციას, ისინი აშკარად ითვლებიან იმ კურსის მატარებლად საგარეო პოლიტიკაში, რასაც ატარებს სააკაშვილი. რაც შეეხება პირდაპირ თემას, ასეთი დამთმობი პოზიცია თურქეთის მიმართ გამოწვეულია ასევე საკითხის უცოდინარობით და რაც მთავარია, ჯერ თავო და თავოო და მერე ცოლო და შვილოო, ამ პრინციპით. ავიღოთ ნებისმიერი მინისტრი ანდა სხვა ე. წ. პოლიტიკოსი, ისინი ალბათ სადღაც ფიქრობენ, რომ მათი ბატონობის წერტილიც დაისმება და აღარ იქნებიან ისინი ხელისუფლებაში. მაგრამ, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ფიქრობენ იმას, რომ რასაც ისინი ახლა აშავებენ, ეს ცუდად წაადგება მთელ ქვეყანას. ამაზე არც ერთი მათგანი არ ფიქრობს, ისინი დღევანდელი კვერცხის პრინციპით ცხოვრობენ. დღეს საქართველოში 23 ათასი თურქი ცხოვრობს ბათუმში, მისი მოსახლეობა სულ არის 130 ათასი კაცი, უკვე ნათელი ხდება, საითაც მივდივართ. ამას დავუმატოთ მეჩეთის მშენებლობის საკითხი, თურქი იდეოლოგების გამონათქვამები, რომ უნდა იყოს დიდი თურქეთის კავშირი, რომელშიც თავისთავად შევა კავკასია; ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საქმე გაცილებით მძიმედაა, ვიდრე გვგონია. ყველაფერში თანხმობა ნიშნავს იმას, რომ თურქეთმა იყიდა სააკაშვილის ოჯახი, დღევანდელი ხელისუფლება და აკეთებს იმას, რაც თურქს მოესურვება. როდესაც დედაქალაქის მერი ორ კაპიკად იყიდება ისეთ მობილურ კომპანიაზე, როგორიც არის „ჯეოსელი“ და ორი კვირის განმავლობაში იისფრად ჩააბნელებს რუსთაველის პროსპექტს, გადაღებავს ავტობუსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ აქ აღარ ცხოვრობ, შენ არ ხარ არაფერი, ვიღაც თურქი თავზე გაჯდება და ქალაქის მერსაც და ქვეყნის პრეზიდენტს ორ კაპიკად ყიდულობს. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მარჯანიშვილზე ყოველი ფეხის ნაბიჯზე არის თურქული რესტორანი, ამ რესტორნებმა ახლა გადმოინაცვლა სხვა უბნებშიც, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ რაც პროდუქტი შემოდის არის მდარე ხარისხის თურქული, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არაფერსაც არ წარმოვადგენთ. ყველაფერს გვკარნახობენ, რა როგორ უნდა გავაკეთოთ. მაგალითად, თურქი მესხები უნდა ჩავასახლოთ თურქეთის საზღვართან და ასე შემდეგ. ანუ გავლენა პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მაღალია თურქეთის მხრიდან, ისევე, როგორც ისრაელის მხრიდან, ამას ემატება ამერიკაც და ჩვენი საქმე ისეთია, რომ ძაღლი არ დაყეფს. ასე რომ, მე სულაც არ მიკვირს ის ამბავი, რომ თურქი სტუდენტები ჩამოყავთ სასწავლებლად. ანუ იმაში, რომ ეს ქვეყანა უნდა გაათურქონ, სააკაშვილი და მისი დედა ცუდს ვერაფერს ხედავენ და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, ვერ ხედავს ქართველი საზოგადოება.

***– ანუ მივდივართ იქამდე, რომ ფაქტიურად ხდება მთავარი საკითხიდან საზოგადოების ყურადღების გადატანა შედარებით უმნიშვნელო საკითხზე, მაგალითად, რუსეთზე...***

– როდესაც სააკაშვილი ამბობს, რომ საქართველოსთვის ყველაზე დიდი მტერი არის რუსეთი, არადა რუსეთმა გადაგვარჩინა მუსლიმანებისაგან განადგურებას და ქვეყნის მოსახლეობა 450 ათასიდან გახდა ხუთი მილიონი, დღეს, ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა დაეცა 3 მილიონზე და აქედან მილიონამდე არის აზერბაიჯანელი და სომეხი. ფაქტიურად, დემოგრაფიული თვალსაზრისით არის კატასტროფული მდგომარეობა. საქართველო, გაეროს მონაცემებით, არის იმ ერებს შორის, რომლებიც დასაღუპად არიან უკვე დაწერილი. ასეთ ვითარებაში იმისათვის, რომ ჩვენ გამოვფხიზლდეთ, გვჭირდება, რომ როგორმე მოვახდინოთ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ამ ვითარებიდან ჩვენი ერთადერთი მხსნელი არის რუსეთი. არც თურქს, არც ამერიკელს არ აინტერესებს ქართველი კაცი, მას აინტერესებს თავისი გავლენა ამ რეგიონში. ქართველი აქ არის უბრალო შემსრულებელი, რომელმაც უნდა შეასრულოს ისეთი საქმე, როგორიც არის მეძავობა, ტაქსის მძღოლობა, ოფიციანტობა და ასე შემდეგ, ვიღაც ხომ უნდა იყოს ქუჩის დამგველი და ამ ქუჩის დამგველს ამერიკიდან ან თურქეთიდან ხომ არ ჩამოიყვანს, ამას შეასრულებს ქართველი. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ ამაზე ვიფიქროთ, არის რუსეთის გახელებული ლანძღვა-გინება, არის ლაპარაკი იმაზე, რომ დღეს თუ არა, ხვალ, რუსეთი შემოვარდება საქართველოში. ამ დროს, თურქეთმა ფარულად, ყოველგვარი შემოვარდნის, ყოველგვარი ტყვიის სროლის გარეშე დაიპყრო აჭარა და ნელ-ნელა შემოვიდა მთელ საქართველოში. სწორედაც, რუსეთის ლანძღვის შედეგად ხდება საზოგადოების ყურადღების მიპყრობა რუსეთისაკენ, ამ დროს გათავისუფლდა მოქმედების გარკვეული არეალი და ამ არეალში დიდი ხანია შემოვიდა თურქეთი და ისე აფათურებს ხელს ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, როგორც დაგიბარებიათ. ეს ყველაფერი ხდება შეგნებულად, რომ მივცეთ თურქეთს, ისრაელს საშუალება, კიდევ უფრო გაშალოს ფრთები, საქართველო აქ აღარავის აღარ ახსოვს. ამ ხელისუფლებისთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს და არც ქართული ისტორიის ცნება, ეს არის ტვირთი რომელიც სულაც არ სჭირდება ამ ხელისუფლებას.

***– რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე ალბათ დიდი ხანი ვერ ვილაპარაკებთ, ბოლო პერიოდში ხელისუფლების უნიათობის წყალობით კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია, მეტიც, ზოგიერთი ექსპერტი ახალ რუსულ აგრესიაზეც კი წინასწარმეტყველებს.***

– ჯერ ერთი, საქართველოში ექსპერტებიც თუ არიან არ ვიცოდი. ექსპერტი ეს არის მიკერებული სახელი, ჩიტაძე და სესიაშვილები ექსპერტებად ვერ ჩაითვლებიან. ესენი არიან გამოუცდელი ყმაწვილები, პოლიტიკის გაგებაშიც რომ არ არიან და არახუნებენ იმას, რაც დასჭირდებათ. ხელისუფლებას სჭირდება, ესენი სხედან ამერიკულ გრანტებზე და რომელ ექსპერტობაზეა ლაპარაკი, როდესაც მუშაობენ ამერიკული დაკვეთით და არ არიან ნეიტრალურნი. ამერიკას სურს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს რუსეთის გავლენა, სურს, რომ იყოს თურქეთის გავლენა, ისრაელის გავლენა, იმიტომ, რომ ესენი ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები არიან. რუსეთი ყოველთვის იქნება სხვა, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სახელმწიფო ჩინეთთან ერთად, რომელიც ექიშპება მსოფლიო ბატონობაში. რაც შეეხება რუსეთის ვითომ აგრესიას, ამათი შიშით, რუსეთს ველარ ჩაუტარებია წვრთნები. რუსეთმა გარკვევით თქვა, რომ იმ მანევრებში, რომელსაც რუსეთი გეგმავს ამ შემოდგომით, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან ჩართული ის სამხედროები, რომლებიც არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რატომ ყვირიან ესენი, მაგალითად, მამუკა არეშიძე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცოტა ისტორიაც უნდა იცოდე, მსახიობს ისტორიის ცოდნას ვერ მოსთხოვ, ასეთი ექსპერტები გვყავს. არ აქვს მნიშვნელობა, სად იქნებიან, ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში, ოპოზიციას ულოკავენ უკანა ნაწილებს თუ ხელისუფლებას, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ესენი ერთი ბატონის ქვეშ არიან და ეს ბატონი არის ამერიკის შეერთებული შტატები. იქიდან იღებენ დაფინანსებას და ცხადია, ისინი ყოველთვის ილაპარაკებენ რუსეთის აგრესიაზე და ამით ძალიან ცუდ საქმეს უკეთებენ საქართველოს. აქაც იგივე პრინციპი მოქმედებს, ყველას საკუთარი კუჭის ამოყორვა უნდა და ამისთვის ამერიკელი აძლევს ფულს, რომ ილაპარაკოს ანტირუსულად, ამიტომაც ლაპარაკობს მამუკა არეშიძე, რომელიც გვაკვირვებს ძალიან ბრძნული აზრებით. ეს მამაცხონებული, ჯერაც ვერ მოსულა აზრზე, რა მოხდა 2008 წელს, სხვებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ვართ ამ ჩიტაძეების, არეშიძეების და ვიღაც იდიოტების გარემოცვაში და ლაპარაკობენ რუსულ აგრესიაზე. რა დროს რუსული აგრესიაა, შე მამაცხონებულო, აგერ თურქეთი თბილისშია შემოსული, ხელისუფლებაში გიზის ებრაელობა და სომხობა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შავფაროსნები რომის ფესტივალში ჩაერთვებიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ირაკლი ქოქოსაძე, „შავფაროსნების“ ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ფესტივალზე „ნატალე დი რომა“ იწვევენ იმ ქვეყნებს, რომლებთანაც რომის იმპერიას ისტორიული ურთიერთობა აკავშირებდა. წელს ფესტივალში ევროპის 15 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის პირველად იქნება წარმოდგენილი საქართველო. ყველა ქვეყანა თავის ეროვნულ კულტურას, ანტიკური ეპოქის საბრძოლო სამოსსა და აღჭურვილობას წარადგენს.

***– რა იციან საქართველოს შესახებ ამ ფესტივალის მესვეურებმა?***

– მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიასა და იბერიას მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობა აკავშირებდათ, ფესტივალის ორგანიზატორებს, დღემდე საქართველოზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ამიტომ ამ ღონისძიებებში საქართველო წელს პირველად მონაწილეობს.

***– რით არსებობს თქვენი ორგანიზაცია?***

– ჩვენ არავისგან არ ვფინანსდებით. უბრალოდ, გაჟღერდა, რომ ჩვენ მიწვეულები ვიყავით რომში ფესტივალზე. დიდი ხანია ტარდება ეს ფესტივალი, მაგრამ საქართველო პირველად ჩაერთო. ჩვენ „ბანკი კონსტანტა“ გვაფინანსებს და დიდი მადლობა მათ ამისთვის.

***– რამდენი წევრი გყავთ?***

– ჩვენ 400-მდე წევრი გვყავს. ეს არ არის მარტო თბილისში, ჯგუფები არიან ყაზბეგში, გორში, ქუთაისში, ბათუმში. მათი ასაკი 6-8 წლიდან იწყება და ზედა ზღვარი არ არსებობს. ჩვენთან მამუკა მახარაძე 55 წლის არის და ისევე აკეთებს ყველაფერს, როგორც ჩვენ.

***– ფესტივალზე რამდენი შავფაროსანი მიდიხართ?***

– 10 შავფაროსანი მივდივართ რომში და წარმოვადგენთ საქართველოს. ეს ყველაფერი სიმბოლურად გამოვიდა. ფარსმან ქველი ჩავიდა პირველად რომში და ქართველებმა რომში გამართეს ასპარეზობა, წარმოადგინეს ქართული საბრძოლო ხელოვნება. ახლა კი ამდენი საუკუნის შემდეგ რომში ჩადის ქართული საბრძოლო ხელოვნება შავფაროსნები. ჩვენ წერილები მივწერეთ რომში მოღვაწე ქართველებს, რომ ჩავდივართ. 19 აპრილს უკვე იქ ვიქნებით და 20-ში გვაქვს გამოსვლა. იქ მცხოვრები ქართველები დაინტერესდნენ და ვიცით, რომ ბევრი ქართველი შეიკრიბება, ეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მათთვისაც დიდი დღესასწაული იქნება. დიდი აქცია გაიმართება რომში ყველა იმ ქართველის მონაწილეობით, რომელიც ამჟამად იქ ცხოვრობს, მუშაობს, მოღვაწეობს, ან თუნდაც პერიოდულად ჩადის და ჩამოდის. როგორც ჩვენ გავარკვიეთ ორი სამრევლოა რომში, ორი ქართული ეკლესიაა, რომ ჩავალთ, დავესწრებით წირვას, რომელიც ტარდება ქართულ ეკლესიაში. ჩვენ პატრიარქის კურთხევა გვაქვს, ბზობას მისმა უწმინდესობამ დაგვლოცა, წარმატება გვისურვა. ყველა, ვინც იქ არის, ისიც მონაწილე ხდება ჩვენი ზეიმის, ეს კი ყველა ქართველი დღესასწაულია.

***– აქედანაც მოგყვებიან ქართველები?***

– ქართველები თბილისიდან ვერ მიგვყავს, მაგრამ ვიცით რამდენიმე ადამიანი, ვინც მოდის. მათი საქმიანი ურთიერთობები და ჩვენი ჩასვლა ემთხვევა ერთამანეთს და რომში ერთად ვიქნებით. გამოხმაურება დიდია „ფეისბუქში“, ბევრი ქართველი დაგვიკავშირდა და ევროპული ქვეყნებიდან ჩამოსვლას შეგვპირდა. ჩვენ დანარჩენ 14 ქვეყანასთანაც გვქონდა მიმოწერა. იქ რომ ჩავალთ, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდება. ჩვენ „არტ გენში“ ყოველ წელს ვიღებთ მონაწილეობას და გვინდა მათი მოწვევა ამ ფესტივალზე, ისინი უფრო კარგად გაეცნობიან ჩვენს საბრძოლო ხელოვნებას და ჩვენც მათ ტრადიციებს გავეცნობით. დღეს საბრძოლო ხელოვნება ისეთი აქტუალური აღარ არის, როგორც ადრე იყო, ეს უკვე ჩვენი კულტურული ისტორიის ნაწილია, ამიტომ სხვა ქვეყნებთან ამ კულტურის გაცვლა ნამდვილად მნიშვნელოვანია. უცხოელებმა ჩვენთან ჩამოსვლის სურვილი უკვე გამოთვეს.

***– ყოველ წელს ჩახვალთ რომში?***

– ყოველწლიური ფესტივალია და სავარაუდოდ, ყოველ წელს ჩავალთ.

**გიორგი წიწრიაშვილი ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთ–ერთი დამფუძნებლი:**

***– რა ისტორია გაქვთ და რატომ აირჩიეთ ასეთი სახელწოდება?***

– არსებობს კავშირი „ქართული საბრძოლო ხელოვნება“, რომელიც წლების მანძილზე ეწევა ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევას, პოპულარიზაციას, ატარებს ექსპედიციებს. მის წიაღში შეიქმნა „შავფაროსნები“. ჩვენ გადავიღეთ ფილმი „შავფაროსნები“, კოტე ჩოლოყაშვილმა მოგვაწოდა ამის შესახებ ცნობები. ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის ეწეოდა პარტიზანულ ომებს, მტერს პირდაპირ ვერ ეკვეთებოდა, ამიტომ ქართველები ფარებს შავად ღებავდნენ, შავ სამოსს იცვამდნენ და ასე იბრძოდნენ. უცხოური წყაროები მათ მოიხსენიებდნენ „ყარაყალღან“ – „შავფაროსნები“. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს ძალიან კარგი სახელია ქართული საბრძოლო ხელოვნების იდენტიფიკაციისთვის, დღევანდელ რეალობასაც შეესაბამება და ამიტომ დავარქვით „შავფაროსნები“.

***– როგორ მოხვედით დღემდე?***

– აქამდე არსებობდა ეს ორგანიზაცია იმ ადამიანების ხარჯზე, ვისაც აქვს სურვილი გადაარჩინოს ეს მივიწყებული ქართული ხელოვნება. სახელმწიფოსგან ძალიან მცირე დაფინანსება გვაქვს, რომელიც ნამდვილად არ ყოფნის ამ ორგანიზაციის არსებობას. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ქართული საბრძოლო ხელოვნება ის კულტურული მემკივდრეობაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადარჩეს და გადაეცეს მომავალ თაობებს.

***– უცხოელები ინტერესდებიან?***

– ძალიან დიდია უცხოელების დაინტერესება. ჩვენთან ჩამოსული იყო „ნეშენალ ჯეოგრაფიკი“, რომელმაც ფილმი გადაიღო ჩვენზე.

***– უცხოეთში ხშირად გიწვევენ?***

– ეს პირველი გასვლა არ არის შავფაროსნების მიერ საზღვრებს გარეთ. რამდენიმე წლის წინ ლაიფციგში გვქონდა 40-წუთიანი წარმოდგენა. იქ არის ფესტივალი „ქართული სული“, სადაც მთელი ატრიბუტიკით ჩავატარეთ ჩვენება. ვარშავაშიც ვიყავით, სადაც ზუმბასთან ერთად გამოვედით. ჰოლივუდშია დიდი ინტერესი, ჰოლივუდელი ფოტოგრაფი იყო ჩამოსული და გადაგვიღო სურათები, ეს დაახლოებით ერთი თვის წინ განხორციელდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

***– სპეციალურად თქვენ გამო ჩამოვიდა?***

– რაღაც-რაღაც პროექტები უნდა გადაეღო, საბოლოოდ კი არჩევანი ჩვენზე შეაჩერა.

***– როგორი შემართებით მიემგზავრებით რომში?***

– „შავფაროსნები“ ფესტივალზე 200–300 წლის ხევსურული ტალავრებით წარდგებიან და უძველეს ქართულ იარაღს წარადგენენ. ასევე გამართავენ საბრძოლო საჩვენებელ წარმოდგენებს. ეს ფესტივალი უკვე მრავალი წელია იმართება და იტალიაში ერთ–ერთ ყველაზე მასშტაბურ ფესტივალად ითვლება. ფესტივალის მიმდინარეობისას კოლიზეუმის მიმდებარე ქუჩები იკეტება და მსვლელობები ეწყობა. ყველა ქვეყანა თავის კულტურას, ანტიკური ეპოქის საბრძოლო სამოსსა და აღჭურვილობას წარადგენს. ამ დროს რომის ქუჩებში ანტიკური ეპოქა ცოცხლდება.

***– ქართული კულტურა რომში პირველად წარმოჩნდება?***

– ამ ფესტივალის ფარგლებში კი, მაგრამ ისე ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა საქართველოს დელეგაცია რომში საბრძოლო ოსტატობის დემონსტრირებას მოახდენს. 144 წელს რომის იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა იბერიის მეფე ფარსმან მეორე ოჯახითურთ რომში მიიწვია. ქართველებს იქ პომპეზური ღონისძიებით დახვდნენ. ფარსმანის ამალამ კოლიზეუმში მხედრული ჯირითი მოაწყო. ქართველთა მეფისა და მხედრების ჯირითით რომაელები იმდენად მოიხიბლნენ, რომ იმპერატორმა რომში, მარსის მინდორზე ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დაადგმევინა. აღნიშნული ვიზიტის დროს, რომის და იბერიის მოკავშირეობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რის შემდეგაც რომმა კავკასიაში იბერიის ჰეგემონია სცნო. ქართველი მებრძოლების საბრძოლო ოსტატობამ არაერთ დამპყრობელს, მათ შორის პომპეუსსაც ათქმევინა, იბერიელებთან ბრძოლა ძნელი იყო, ქალები და ბავშვებიც კი საუკეთესო მებრძოლები არიანო. არ დაიჯერებთ, მაგრამ კოლიზეუმთან გამოკრულია რუკა, სადაც საქართველოს ტერიტორიას საერთოდ არ არის დაფიქსირებული და ჩვენს ტერიტორიას „არმინია“ აწერია. ჩვენ ამის შეცვლას ვაპირებთ.

***– როგორ მოხვდით ამ ფესტივალზე?***

– შარშან გახლდით რომში, სადაც არიან ემიგრანტი ქართველები. ირაკლი სოსელიაა ერთ-ერთი, რომელსაც შავფაროსნების წევრად ვთვლით. ვსაუბრობდით ქართულ საბრძოლო ხელოვნებაზე. მან გაიხსენა, რომ რომში ტარდება ფესტივალი, რომელიც რომის დაარსებისადმი მიძღვნილი ფესტივალია. ირაკლი სოსელიამ შესთავაზა იტალიელებს ქართული საბრძოლო ხელოვნება და მიიღო დადებითი პასუხი. რომში ძალიან დაინტერესდნენ ჩვენი საბრძოლო ხელოვნებით, რადგან განსხვავებული და ორიგინალურია. ამის შემდეგ გამოგვიგზავნეს მოწვევა და ჩვენ რომში მივდივართ.

***– რამდენდღიანია ფესტივალი?***

– ფესტივალი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობს. ძირითადი დღე არის კვირა დღე – 22 აპრილი, როცა იმართება მსვლელობა და მასში მონაწილეობენ ჯგუფები 15 ქვეყნიდან, მათ შორის არის საქართველო, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას ამ ფესტივალში. საქართველოს კი წარმოადგენენ შავფაროსნები. ფესტივალი მოიცავს საზეიმო მსვლელობას რომის საზეიმო ნაწილში კოლიზეუმის გავლით და ის რამდენიმე ისტორიულ ნაწილს აერთიანებს.

***– როგორია თქვენი პროგრამა?***

– თვითონ ფესტივალი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი არის მსვლელობა. „შავფაროსნები“ გაივლიან რომის ქუჩებში, ჩაუვლიან კოლიზეუმს. მეორე ნაწილში კი მასიმოს მოედანზე, სადაც ისტორიულად საბრძოლო შეჯიბრებები, დოღი და მსგავსი რაღაცები ტარდებოდა, გაიმართება მთავარი ღონისძიება, სადაც ყველა ქვეყანა წარმოადგენს თავის კულტურულ მემკვიდრეობას. ჩვენ წარმოვადგენთ ხევსურულ ფარიკაობას, თუშურ ფარიკაობას, შუბით ორთაბრძოლას მშვილდოსნობას, ჭიდაობის სხვადასხვა ნაირსახეობებს, ყველა იმ მასალას, რომლებიც წლების შედეგად მოვიძიეთ საქართველოში ექსპედიციების დროს. ეს არის ძირითადი პროგრამა. რაც შეეხება სანახაობას, უნდა აღვნიშნო, რომ მსვლელობაში გვეცმევა 200-300 წლიანი ტალავრები, გვექნება ისეთი იარაღები, რომლებიც ასევე უძველესია 200-300 წლის წინანდელია, ნაწილი აღდგენილია ძველის საფუძველზე. სანახაობას რაც შეეხება, მიგვაქვს დიდი რაოდენობის დოლები, მუსიკაც ორიგინალური იქნება, სპეციალურად დაიწერა მუსიკა.

***– ქართველი მჭედლების იარაღები გექნებათ?***

– ჩვენი იარაღი მიგვაქვს, რომლებიც წლების განმავლობაში მოგროვდა ან აღვადგინეთ. ასევე ჩვენი, პირადი იარაღები, ჩვენი წინაპრების, რაც ჩვენ გადმოგვეცა თაობიდან თაობაზე. ასევე მიგვაქვს თანამედროვე მჭედლების იარაღები, მათ გადაწყვიტეს ეთხოვებიანთ ჩვენთვის ეს იარაღები ისინი ძველის ანალოგით არის შექმნილი. მამუკა მახარაძემ დიდი რაოდენობით იარაღი გაგვიკეთა – ფარები, ხმლები, შუბები. მან იზრუნა ყველაფერზე, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნება რომში სათანადოდ იყოს წარმოჩენილი.

**ქეთი გიორგობიანი, ბანკი კონსტანტას წარმომადგენელი:**

– ბანკი კონსტანტა სრულ ფინანსურ მხარდაჭრას უცხადებს „შავფაროსნებს“, რომელთაც ევროპაში ქართული კულტურის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილი გაქვთ. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ქართული კულტურის განვითარებას შევუწყოთ ხელი. „შავფაროსნების“ რომში ვიზიტი კი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენთვის ასეთი პროქტები მნიშვნელოვანია. შავფაროსნების პროექტი ჯდებოდა ჩვენს პრიორიტეტებში. ჩვენ ყოველთვის დავუჭერთ მხარს იმ ღონისძიებებს, რომელიც ემსახურება ჩვენი კულტურის განვითარებას, პოპულარიზაციას და სიახლეებს. ერთ-ერთი პრიორიტეტი შავფაროსნებისა არის ამ მიმართულებით ახალი თაობის აღზრდა. ეს ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ამიტომ გვინდა ამაში წვლილი ჩვენც შევიტანოთ და სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მათთან.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`


## განცხადება

**2011 წლის 26 თებერვალს გარდაცვლილი ივანე ასათიანის მეუღლე მანანა ასათიანი მამკვიდრებლის დანაშთი ქონებიდან ითხოვს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილის გამოყოფას და საკუთრების მოწმობის გაცემას მის სახელზე.**

**აღნიშნული სამემკვიდრეო საქმის წარმოება მიმდინარეობს ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილთან. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს მის სანოტარო ბიუროში: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.12. ტელ: 27-73-43.**

**ელ.ფოსტა: KKalandarishvili@notary.ge**


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ზესტაფონი-კარპატი — საგა გრძელდება

გეხსომებათ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ბუბა დაუშვილმა „ზესტაფონში" თამაშისას ლვოვის „კარპატისთან" ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში გააფორმა კონტრაქტი. ეს ყველაფერი კლუბის ჩუმად გააკეთა, რისთვისაც ფეხბურთელი დუბლებში გადაიყვანეს.

ახალი წლიდან დაუშვილი წესისამებრ მის ახალ გუნდს შეუერთდა. ფიფას კანონმდებლობით, „კარპატი" ვალდებული იყო „ზესტაფონისთვის" საკომპენსაციო თანხა, 360.000 ევრო გადაეხადა ახალგაზრდა ფეხბურთელის აღზრდისთვის (23 წლამდე ფეხბურთელის აღზრდისთვის წელიწადში 60.000 ევრო) და მასზე გაწეული ამაგისთვის. ამ თანხის დაკარგვა კი „კარპატის" ხელმძღვანელობამ არ ისურვა და ისე გააკეთა, რომ დაუშვილს კონტრაქტი ქვედალიგელ „ლვოვთან" გააფორმებინა და შემდეგ იჯარით წაიყვანა. რას მიაღწიეს ამით? იმას, რომ „ლვოვს", რომელიც რანგით დაბალ ლიგაში თამაშობს, ზესტაფონელთათვის მხოლოდ 50.000 ევრო ექნება გადასახდელი.

ამ ფაქტზე თავის რეაგირებას „ზესტაფონი" უკვე აპირებდა, თუმცა უკრაინულ პრესაში კიდევ ერთი უცნაური და სკანდალური ინტერვიუ გამოჩნდა, სადაც დაუშვილი მასსა და „ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას შორის არსებულ კონფლიქტზე დაწვრილებით საუბრობს.

როგორც იქაური მედიის ცნობით ჩანს, დაუშვილმა უკრაინელ ჟურნალისტთან შეხვედრის სურვილი თავად გამოთქვა და ინტერვიუზე თარჯიმანთან ერთად მივიდა, რადგან რუსული თითქმის არ იცის. ფეხბურთელს თან რამდენიმე ფურცელი ეჭირა ხელში, სადაც ყველაფერი ქართული ასოებით წვრილად იყო დაწერილი.

მას შემდეგ, რაც „კარპატიმ" ცოტა არ იყოს თაღლითური თამაშით გადაწყვიტა, თავი აერიდებიან საკონპენსაციო თანხის სრულად გადახდისთვის, დაუშვილის ეს ინტერვიუ დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია — იქ, სადაც „კარპატიმ" კონტრაქტის გაფორმება უარყო და იჯარა „ალიარა", არ არის გამორიცხული ეს ინტერვიუც ისე იყოს შეთხზული, რომ თავად ფეხბურთელს არც დაკითხვოდნენ.

***— რაშია საქმე, მურთაზ?***

— დასაწყისისთვის, გთხოვთ, რომ ბუბა დამიძახოთ. მურთაზი ეს ძალიან სოლიდური ადამიანების სახელია. ასე საქართველოში ეძახიან ხალხს, რომლებიც 50-60 წლის არიან. მე ძალიან ახალგაზრდა ვარ... იმიტომ მოვედი, რომ სერიოზული პრობლემა მაქვს. ამჟამად საქართველოში, ერთი კაცის ქმედებით, წამყვანი ტელეარხები და ვებგვერდები ჩემს სახელს არცხვენენ. ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლება, რადგან ამ სიახლეებს და ინფორმაციებს ჩემი მშობლები და ახლობლები კითხულობენ. ალბათ, უკრაინაში ძნელი გასაგებია როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელსაც ამდენ ტალახს ცხებენ. თანაც, სრულიად უსამართლოდ. ბოლო წვეთი კი, დიდი ინტერვიუ გახდა, რომელიც ქართულ ვებგვერდებზე დაიბეჭდა.

***— შეგიძლიათ თქვათ, ამას ვინ აკეთებს?***

— მას ილია კოკაია ჰქვია — ჩემი ყოფილი კლუბის, „ზესტაფონის" პრეზიდენტი.

***— რა ვერ გაიყავით?***

— ეს გრძელი ისტორიაა. „ზესტაფონში" 6 წელიწადი ვითამაშე და ამ კლუბისთვის ყველაფერი გავიღე. შარშანწინ, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ მაღიარეს. ჩემი შეძენით უცხოური კლუბები დაინტერესდნენ. თუმცა, პრეზიდენტი ყველა შეთავაზებას გულმოდგინედ მალავდა და მათ შესახებ არაფერს მეუბნებოდა. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ, როდესაც კლუბთან კონტრაქტის ამოწურვამდე წელიწადი და სამი თვე მრჩებოდა, ჩემი ყიდვა მოსკოვის „სპარტაკს" სურდა. ჩემმა მეგობარმა ჯანო ანანიძემ მითხრა, რომ ვალერი კარპინს ჩემი ხილვა თავის გუნდში სურდა. მოსკოველები მილიონ დოლარს იხდიდნენ, ხოლო კოკაიამ თქვა — ორ-ნახევარი...

***— ამაში ცუდი რა არის, რომ პრეზიდენტმა ასე ძვირად შეგაფასათ? ალბათ, მის გუნდს სჭირდებოდით.***

— ეს სიმართლეა. კოკაიას ჩემი გაშვება მართლაც არ უნდოდა, მაგრამ მისი დამოკიდებულება ფეხბურთელების მიმართ არ იყო პრეზიდენტული. ეს, უფრო მონობას ჰგავდა. მის ინტერვიუში ყველაფერი ნათქვამია. კოკაია ამბობს, რომ არაკაცურად მოვიქეცი, როდესაც „ზესტაფონიდან" წავედი. მან თქვა, რომ ნაძირალა ვარ, რადგან კლუბი მაცმევდა და მაჭმევდა. თუმცა, მე უბრალოდ მაძლევდნენ სპორტულ ფეხსაცმელს და სპორტულ კოსტიუმს, ისევე, როგორც გუნდის დანარჩენ მოთამაშეებს. სხვა მოთამაშეებთან ერთად ვჭამდი — რაშია კლუბის განსაკუთრებული დამსახურება და ჩემი დანაშაული? „ზესტაფონში" თამაშის დროს ბოლომდე ვიხარჯებოდი. ამისთვის ხელფასის სახით 1.000 დოლარს ვიღებდი და ამ თანხიდან 400 დოლარს ბინის ქირაში ვიხდიდი. და ეს ადამიანი ახლა ბრალს მდებს, რომ გუნდი დავტოვე? „ზესტაფონიდან" მას მერე წავედი, რაც კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა. მე არავისი არაფერი მმართებს.

***— როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, „კარპატიში" კარიერის გაგრძელება, ჯერ კიდევ ზაფხულში გადაწყვიტე.***

— მთლად ასე არ არის. ჩემი ნდობით აღჭურვილი პირისგან ვიცოდი, რომ „კარპატი" კონკრეტულად იყო დაინტერესებული შევეძინე მას შემდეგ, რაც „ზესტაფონთან" კონტრაქტი დამიმთავრდებოდა. უბრალოდ მითხრეს, რომ შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი ჩემს მომავალ კარიერასთან დაკავშირებით. არ დავმალავ თუ რამდენად დამეხმარა ყოველივე ეს, ბოლო ნახევარი წელიწადის განმავლობაში, როდესაც „ზესტაფონი" მთელი ძალით ცდილობდა ჩემი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცია. მეორე გუნდში გადამიყვანეს და მოედანზე ვარჯიშის უფლებასაც კი არ მაძლევდნენ. მხოლოდ ერთი ადგილი მქონდა — კარს უკან. სწორედ იქ ვვარჯიშობდი. სხვათა შორის, სხვა ახალგაზრდა მოთამაშეების მიმართ დამოკიდებულება უფრო უკეთესი არ იყო. ვთქვათ, დილით წვნიანს მოხარშავდნენ, ხოლო საღამოს მას საჭმელად ცივს გვაძლევდნენ. არა მხოლოდ მე, არამედ, ყველას. თუმცა, საბოლოოდ, კლუბის ხელმძღვანელობის უწესობაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც პირადი პრობლემა შემექმნა. ჩემთვის ამის მოყოლა ძნელია, მაგრამ შევეცდები. ერთ-ერთი თამაშის წინ დამირეკეს და მითხრეს, რომ დედაჩემი ძალიან ცუდად იყო — მას სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. ყველაფერი მივატოვე და თბილისში გავეშურე. ოპერაციას ფული ჭირდებოდა, ხოლო ჩემი ხელფასი, როგორც გითხარით, 1.000 დოლარი იყო. მას, როგორც წესი, ყოველი თვის 4 რიცხვში გვაძლევდნენ. კლუბის ხელმძღვანელობას მივმართე, რომ ხელფასი უფრო ადრე მოეცათ, რადგან დედაჩემი საოპერაციო იყო. თუმცა უარი მითხრეს. მათი თქმით, ხელფასს ნაადრევად არავის აძლევდნენ და არც მე მომცემდნენ.

***— ეს, უარის თქმის ერთადერთი მიზეზი იყო?***

— არა. კიდევ მითხრეს, რომ ეჭვი ჰქონდათ, თითქოს, ჩვენი გუნდის მოთამაშეები ტოტალიზატორში ფსონებს აკეთებდნენ. ამიტომ, მათ ეს რომ არ გაეკეთებინათ, ფულსაც დადგენილ დროში უფრო ადრე არ გასცემდნენ. უბრალოდ, გავოცდი, როდესაც ასეთი მიზეზი გავიგე. კარგია, რომ თანაგუნდელები დამეხმარნენ. თუმცა, ამის შემდეგ ბევრ რამეს მივხვდი.

***— ამრიგად, ბოლო ნახევარი წელიწადი დუბლშემადგენლობაში გაატარეთ?***

— და საქართველოს ნაკრებში. ძალიან მადლობელი ვარ მხარდაჭერისთვის ჩვენი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიასი. ეროვნულ გუნდში შეკრებები რომ არა, არც კი ვიცი, ახლა როგორც ფეხბურთელი, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი. ის სათამაშო პრაქტიკის მიღების საშუალებას მაძლევდა.

ასევე, მადლობელი ვარ „ზესტაფონის" გულშემატკივრების, რომლებიც მხარს მიჭერდნენ. ილია კოკაიას უნდოდა, როგორც ფეხბურთელი, გავენადგურებინე. სასაცილოა, რომ მან ჩემი დუბლებში გადაყვანა იმით ახსნა, თითქოს თამაშს დავუკელი. თუმცა, ის არაფერს პასუხობდა, როდესაც ეკითხებოდნენ, თუ რატომ მიძახებდნენ მუდმივად საქართველოს ნაკრებში. სამაგიეროდ, ქეცბაია ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა — „ზესტაფონის" ხელმძღვანელობის არ მესმის. როგორ შეიძლება ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის დუბლებში გადაყვანა და მისთვის იქაც კი, თამაშის უფლების არ მიცემა?.

***— „ზესტაფონის" პრეზიდენტს ბოლოს როდის შეხვდით?***

— იანვრის დასაწყისში. მან თავის კაბინეტში მიმიწვია. იქ ბევრი ხალხი იყო, მისი მეგობრები. კოკაიამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა და მარწმუნებდა, რომ კიევის „დინამოში", ან „დნიპროში" გამყიდიდა — არჩევანი ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული. კოკაიამ ამის სანაცვლოდ 100.000 დოლარი შემომთავაზა, ხოლო უარის შემთხვევაში შემპირდა, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთს მომიწყობდა. თუმცა, მე უარი ვთქვი. ყოველივეს შემდეგ, არავითარი საფუძველი არ მქონდა, რომ მისთვის დამეჯერებინა. მისი მუქარის არ მეშინია. მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ფული ჩემს ცხოვრებაში მთავარი არ არის, ღირსებისგან განსხვავებით. მას დედაჩემის ამბავი გავახსენე, რაზეც გაკვირვებული ტონით მითხრა — მე რატომ არ დამირეკე?. თუმცა, ეს ბლეფია.

***— თქვენი აზრით, მომავალში მოვლენები როგორ განვითარდება?***

— პირველყოვლისა, მინდა, რომ ხალხმა სიმართლე იცოდეს, რადგან რამდენიმე კვირის წინ, კოკაიამ ტელეარხ „რუსთავი 2"-თან საუბარში განაცხადა, რომ შესაძლოა, ჩემს შესახებ პროკურატურას მიმართოს. არ ვიცი, ამით რის თქმა უნდოდა. მე არავინ მომიკლავს და არაფერი მომიპარავს. ალბათ, ასე ცდილობს ჩემზე შური იძიოს და ჩემი ოჯახი ანერვიულოს — სხვა ახსნა არ მაქვს.

***— ბუბა, კიდევ ერთი მომენტი აგვიხსენი, „კარპატის" განაცხადში შენი გვარის გასწვრივ წერია — „იჯარა".***

— საქმე ის არის, რომ „ზესტაფონთან" კონტრაქტი როდესაც დამიმთავრდა, ლვოვში „კარპატისთან" მოსალაპარაკებლად ჩამოვედი. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე, როდესაც უკვე ჩანდა, რომ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირის კლუბთან მოლაპარაკება სრულდებოდა, „კარპატიმ" მოლაპარაკების პროცესი შეაჩერა. პაუზა გაგრძელდა და ავისმომასწავლებლად გამოიყურებოდა. სწორედ მაშინ დამთავრდა მოსამზადებელი შეკრება, რომლის დროს „კარპატისთან" კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ ხელშეკრულება არ დამიდია. როგორც ამიხსნეს, ყოველივე ჩემი ყოფილი კლუბის არაადეკვატური მოთხოვნებითა და საქციელით იყო გამოწვეული. ამიტომ, ჩემი ნდობით აღჭურვილი პირის რჩევით, შემდგომში უკრაინაში სამუშაოდ მოწყობისთვის, დროებით პირველი ლიგის კლუბის, „ლვოვის" შეთავაზება მივიღე. „ლვოვის" მიმართ ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ეს უკანასკნელი, ჩემი სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ ძლიერ კლუბში გამიშვებდა. გარკვეული დროის შემდეგ, „კარპატიმ" კვლავ გამოხატა ინტერესი ჩემს მიმართ და ასე წარმოიშვა იჯარის ვარიანტი, რომლის დასრულების შემდეგ, იმედი მაქვს, „კარპატისთან" სრულფასოვან კონტრაქტს გავაფორმებ.



# რეალი მიუნხენში მოუგებელი რჩება

**ბაიერნი _ რეალი 2:1**

***1:0 რიბერი (17), 1:1 იოზილი (53), 2:1 გომესი (90)***

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, ბადშტრუბერი, ალაბა, გუსტავო, შვაინშტაიგერი (მიულერი 61), რობენი, კროოსი, რიბერი, გომესი

**რეალი:** კასილიასი, არბელოა, პეპე, რამოსი, კოენტრაუ, ალონსო, ხედირა, დი მარია (გრანერო 79), იოზილი (მარსელო 69), რონალდუ, ბენზემა (იგუაინი 84)

ამ გუნდების მეათე მატჩი ჩატარდა მიუნხენში და მადრიდის „რეალმა" ისევ ვერ მოიგო. თუმცა, რა მოგებაზეა საუბარი, როდესაც სულ ერთი ფრე აქვს გახერხებული და ყველა დანარჩენი წაგებული.

თუმცა, ახლა სხვა „რეალია" და წყვილის ფავორიტად ისინი მიიჩნეოდნენ. ერთია, „რეკორდმაისტერი" როგორი დასუსტებულიც არ უნდა იყოს, პრინციპულ მატჩებს ყოველთვის მაღალ დონეზე ატარებს. მით უფრო, ახლანდელ „ბაიერნსაც" არაფერი სჭირს დასაწუნი.

მატჩი სასიამოვნო სანახავი გამოდგა. მართალია, გუნდებს გულშემატკივრებისთვის ზეშოუ არ შუთავაზებიათ, მაგრამ არც მოსაწყენად ეცალათ და რაც მთავარია, განმეორებით მატჩს მეტი ინტრიგა შერჩა.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და მადრიდელებს ანგარიშის გახსნა უკვე მე-7 წუთზე შეეძლოთ, მაგრამ კარგ პოზიციაზე მყოფ ბენზემას ნოიერმა არ გაატანინა.

„ბაიერნმა" კი პირველივე სახიფათო იერიში ლამის გოლად აქცია. მე-16 წუთზე ფრენკ რიბერი კარგად შევიდა საჯარიმოში, მაგრამ დაეცა. მსაჯის სასტვენი დუმდა, თუმცა ჰოვარდ ვებს ორიდან ერთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო — ან პენალტი, ან ყვითელი ბარათი სიმულიაციისთვის. განმეორებით ნახვისას პენალტს უფრო გავდა. თუმცა, არდანიშნული პენალტი სასიკეთო გამოდგა გერმანელებისთვის. იქვე მათი მორიგი შეტევა კუთხურით დასრულდა, რომლის მოწოდების შემდეგ, მადრიდელთა ცენტრალურმა მცველებმა საჯარიმოდან ბურთი ვერ გამოიტანეს და რიბერიმ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან კასილიასს პირველი გოლი გაუტანა. აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს — რიბერის დარტყმის მომენტში, ლუის გუსტავო თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და მართალია იგი ბურთს არ შეხებია, მაგრამ შესაძლოა კასილიასს ბურთის მოგერიებაში ხელს უშლიდა და თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ თამაშგარე აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო. თუმცა, გადაჭრით შეუძლებელია იმის თქმა, რომ კასილიასს ხელი გუსტავომ შეუშალა, მითუმეტეს, რომ მადრიდელებს გოლი არ გაუპროტესტებიათ.

ტაიმის დარჩენილ ნაწილში, გუნდები გოლის გატანას ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ. ერთადერთი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი მე-40 წუთზე შეიქმნა, როდესაც კასილიასმა გომესის დარტყმა მოიგერია.

მე-2 ტაიმის დასაწყისში, „რეალი" თითქოს ინერტულად გამოიყურებოდა, მაგრამ მეტოქის კონტრშეტევაზე დაჭერა და ანგარიშის გათანაბრება მალევე მოახერხეს. 53-ე წუთზე, ბენზემას კარგი პასით მეკარესთან პირისპირ რონალდუ გავიდა, რომელმაც ძალიან ცუდად დაარტყა. ბურთი კვლავ ბენზემას მიუვიდა, რომელმაც ისევ რონალდუ მოძებნა, ხოლო პორტუგალიელმა, მახვილი კუთხიდან დარტყმას, კარის წინ უმეთვალყურეოდ მყოფი იოზილისთვის გადაწოდება ამჯობინა და მანაც არ დააღალატა.

მორიგი სახიფათო მომენტი მადრიდელთა გოლიდან 20 წუთის შემდეგ შეიქმნა, როდესაც საკუთარ საჯარიმოში ძალიან ცუდად ითამაშა სერხიო რამოსმა, მაგრამ გომესმა მისი საჩუქარი ვერ შეირგო და დაახლოებით 2 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

თამაშის ბოლომდე, გომესს გატანის კიდევ 3 შანსი მიეცა. ჯერ თავით მცირედით არაზუსტად დაარტყა, შემდეგ კასილიასმა აუღო, ხოლო ბოლოს მაინც გაიტანა. მიმდინარეობდა ძირითადი დროის ბოლო წუთი, როდესაც მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ფილიპ ლამმა კოენტრაუ დაიბრიყვა და კარის ხაზის გასწვრივ გადაცემა გააკეთა, რასაც გომესის საგოლე დარტყმა მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება და გაირკვევა, თუ ვის მოუწევს დაბრუნება ისევ „ალიანს არენაზე", სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი გაიმართება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ფრენკ რიბერი.**

ფრანგმა ფეხბურთელმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა მადრიდელთა დაცვას. ძალიან ბევრს მოძრაობდა, რაც შეეძლო ამწვავებდა მისი გუნდის იერიშებს და კასილიას კართან ხიფათი თუ იქმნებოდა, მხოლოდ მისი მონაწილეობით. ერთ-ერთი გოლად აქცია, ხოლო მეორე მისი წამოწყებული იყო.



## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-რეალი | 2:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ვესტ ჰემი | 1:1 |
| ბრაიტონი-უოტფორდი | 2:2 |
| იფსვიჩი-ბირმინგემი | 1:1 |
| კარდიფი-დერბი | 2:0 |
| ქოვენთრი-მილუოლი | 0:1 |
| ლესტერი-ბარნლი | 0:0 |
| მიდლსბრო-დონკასტერი | 0:0 |
| პიტერბრო-საუთჰემპტონი | 1:3 |
| პორთსმუთი-კრ.პალასი | 2:1 |
| ჰალი-ბარნსლი | 3:1 |
| ბლექპული-ლიდსი | 1:0 |
| რედინგი-ნოტინგემი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ინდიანა | 97:102 |
| დეტროიტი-კლივლენდი | 116:77 |
| მინესოტა-მემფისი | 84:91 |
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 118:110 |
| ლეიკერსი-სან ანტონიო | 91:112 |

**ჩოგბურთი**

**აშშ. მონტე კარლო. თიხა**

| | |
|---|---|
| მონაკო-ჰაასი | 5:7;6:0;3:6 |
| ანდუჰარი-დელბონისი | 3:6;6:4;6:2 |
| ჩილიჩი-ბოლელი | 6:3;6:4 |
| სიმონი-ჟილი | 6:3;6:0 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-ფლორიდა | 3:4 |
| სერის ანგარიში | 1:2 |
| დეტროიტი-ნეშვილი | 1:3 |
| სერიის ანგარიში | 1:3 |
| ჩიკაგო-ფინიქსი | 2:3(ოტ) |
| სერიის ანგარიში | 2:1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ლალიძე ივანიშვილს რეიტინგს უწუნებს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლალიძესთან

***— ოპოზიციური პარტიების ბოლო პერიოდის აქტიურობას თუ გადავხედავთ, ნათელი ხდება, რომ ოპოზიცია ხელისუფლებასთან შედარებით, საარჩევნო კამპანიის წარმოებაში საკმაოდ მოიკოჭლებს. ფაქტიურად, არც ერთი ოპოზიციური გაერთიანება არ გამოირჩევა ამ მხრივ დიდი აქტიურობით, რას ელოდება ოპოზიცია და რა უშლის ხელს კამპანიის დაწყებაში?***

— ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია, ამისათვის მას გააჩნია ყველა რესურსი, ისინი აკონტროლებენ ქვეყანაში არსებულ სატელევიზიო არხებს, აქტიურად იყენებენ საბიუჯეტო რესურსებს და ასე შემდეგ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ორი აქტიური პოლიტიკური ცენტრი, ნაციონალური მოძრაობა და ივანიშვილი და მის გარშემო შეკრებილი გუნდი. მათ გააჩნიათ ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ რეალური კონკურენცია გაუწიონ ხელისუფლებას, მაგრამ იმ დროს, როდესაც ხელისუფლება დაკავებულია წინასაარჩევნო კამპანიით, ივანიშვილი პრაქტიკულად არაფერს აკეთებს, რომ საზოგადოებაში რეიტინგი გაიმყაროს. სამწუხაროდ, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი, რასაც ივანიშვილი აკეთებს, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. როგორც ჩანს, მან საკმაოდ მიზანმიმართულად გადადგა ნაბიჯი, როდესაც გარშემო შემოიკრიბა ისეთი ადამიანები, ვისაც პრაქტიკულად რეიტინგი არ აქვს საზოგადოებაში და ამით მან თავისი იმიჯი არა თუ აიმაღლა, არამედ გაინახევრა ამ ადამიანების გვერდით დაყენებით. ივანიშვილის არაპოპულარული ნაბიჯების გამო, მას რეიტინგი თვალსა და ხელს შუა გაუქრა.

***— არაპოპულარულ ნაბიჯებში რა იგულისხმება?***

— პირველ რიგში ის, რომ ამ ხნის მანძილზე მათ არაფერი არ გააკეთეს, ეს ადამიანი არ ურთიერთობს ხალხთან, შემოიფარგლება მხოლოდ განცხადებებით და მისი პოლიტიკური გუნდის ქმედება არათუ იმედის გაჩენას, პირიქით, საზოგადოების გალიზიანებას იწვევს და ის რეიტინგი, რაც ივანიშვილს ჰქონდა რამდენიმე თვის წინ, დღეს ამ რეიტინგის ნახევარიც კი არ არის დარჩენილი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ დრო ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს. მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოება ამ ხელისუფლებისაგან დაიღალა, როდესაც ამ ხელისუფლების ანგარიშზეა უამრავი გამწარებული ადამიანი, უამრავი შეცდომა, ამის საწინააღმდეგოდ ოპოზიცია არაფერს აკეთებს. ქვეყანაში, სადაც სამართალი არ არის, ამას ემატება ის მძიმე სოციალური ფონი, რაც ქვეყანაში არსებობს, არის უკმაყოფილობა, სამწუხაროდ, ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე არავინ არ ფიქრობს. სააკაშვილს აქვს იმის ოსტატობა, რომ ყველაფერი გააკეთოს, წინასაარჩევნოდ დროებით მაინც რომ მოიპოვოს საზოგადოების კეთილგანწყობა. ხელისუფლებას აქვს იმის ნიჭი, რომ ის ცუდი შეფუთოს ლამაზად და ასე მიიტანოს საზოგადოებამდე. არ არის გამორიცხული, რომ წინასაარჩევნოდ დაიწყოს ტელედაპატიმრებების ტალღა, რაც ხელისუფლებას ეს გარკვეულ წარმატებას ალბათ მოუტანს.

***— ეს შოუები რისთვის არის საჭირო, კონკურენტების ჩამოსაცილებლად?***

— იმისათვის არის საჭირო, რომ საბოლოოდ გაანადგუროს ივანიშვილის გუნდი და მათი რეიტინგი დაბლა დაწიოს.

***— თქვით, რომ ივანიშვილის გარშემო დაბალრეიტინგული პარტიებია შემოკრებილი..***

— ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თუ ვინმე მათ კონკურენციას გაუწევს არჩევნებზე, ეს არის ივანიშვილი. ეს არის რეალურად გამწევი ძალა და აქედან გამომდინარე მისი სრული განეიტრალება სურს ხელისუფლებას. მაშინ, როდესაც საზოგადოებას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილის მოსვლით რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა, ეს მართლაც ასე ჩანდა, გახსოვთ, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გა-



მოჩენით ხელისუფლება სერიოზულ პანიკაში ჩავარდა და სერიოზული მიზეზიც ჰქონდა ამისათვის, მაგრამ ივანიშვილმა ძალიან სწრაფად დაუშვა საკმაოდ სერიოზული შეცდომები, ივანიშვილმა ქართულ ოპოზიციას გაუკეთა წყალგამყოფი ზოლი, ამით ოპოზიცია შუაზე გახლიჩა, რითიც ოპოზიციას წაართვა ელექტორატი.

***— მოდით, ივანიშვილს თავი დავანებოთ, ეს პარტიები ივანიშვილის მოსვლამდეც არსებობდა და როგორც ამბობდნენ, თავისი სამოქმედო პროგრამაც ჰქონდათ. თუმცა არც ერთი პარტია არ მუშაობდა იმ თემებზე. რომელიც საზოგადოების ძირითადი ფენებისთვის არის მნიშვნელოვანი, არ ლაპარაკობდა თუნდაც ქვეყნის სამეზობლო პოლიტიკაზე, ქვეყნის შიდა ეკონომიკური ვითარებაზე და ასე შემდეგ..***

— მე სრულად გეთანხმები იმაში, რომ ოპოზიციური პარტიები ხშირად არ საუბრობენ იმაზე, რაც უშუალოდ შედის საზოგადოების ინტერესში და ეს არის თითოეული იჯახისათვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ, ჩვენ ვართ ის ერთადერთი პარტია, რომელიც დაკავებულია სოციალური თემატიკით, სადაც ადამიანებს უჭირთ, ჩვენ იქ ვართ. ჩვენ პირველებმა გავაპროტესტეთ მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირება, რაზეც სერიოზული აჟიოტაჟი ავტეხეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ სხვა ოპოზიციური ძალების შემოერთება, რადგანაც ყველას საკუთარი ამბიცია აწუხებს. მაშინ, როდესაც დაიწყო ატსტუპნიკების პრობლემა, ჩვენ ეს გავაპროტესტეთ და უკვე მეოთხე თვეა ყოველკვირეულად ვმართავთ აქციებს და ხელისუფლება ვაიძულეთ, რომ გადაეწია ის ვადა, რომლის შედეგადაც ათასობით ადამიანი პირველი იანვრიდან რჩებოდა უსახლკაროდ. როდესაც პრობლემა ექმნებათ დევნილებს, ჩვენ ყოველთვის ვართ მათ გვერდით, მანამდე იყო სალარი აპარატები, რაზეც დიდი ბრძოლით მივაღწიეთ გარკვეულ შედეგს და ასევე აქტიურად ვმუშაობთ რეგიონების პრობლემებზეც. მინდა მოვიყვანო მაგალითად გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მცხოვრებთა პრობლემა. ეს ადამიანები დარჩნენ მიწის გარეშე, ხელისუფლების ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიხო სიმონიშვილმა მიითვისა ამ ადამიანების კუთვნილი 500 ჰექტარი მიწა, რომელსაც ეს ადამიანები ამუშავებდნენ.

***— თუ ასე აქტიურად მუშაობთ სოციალურ თემებზე და რეგიონებშიც სერიოზულ მუშაობას ეწევით, მაშინ არჩევნებშიც დიდი მხარდაჭერის იმედიც უნდა გქონდეთ.***

— ჩვენ ნამდვილად გვაქვს საზოგადოების ფართო მხარდაჭერის იმედი და ჩვენ არჩევნებამდე არაერთი საინტერესო პროექტი გვაქვს შემუშავებული, რის განხორციელებასაც ვაპირებთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ადამიანებს დავუდგეთ გვერდით და არავისთვის არ არის დასამალი, რომ ჩვენ ამ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას და ღირსეულადაც გამოვალთ ამ არჩევნებზე. მაგრამ საერთოდ ოპოზიციას ძალიან შეუშლის წარმატების მიღწევაში ხელს ის შეცდომები, რაც დაუშვა ივანიშვილმა. მე ვფიქრობ, ამ ადამიანს არ ჰყავს კვალიფიციური მრჩევლები, თუნდაც მისი მოქალაქეობის საკითხი ავიღოთ. ეს თემა არ უნდა გამხდარიყო ამდენი ვაჭრობის საგანი, ამ საკითხის მოგვარება უფრო სწრაფად და ზედმეტი ხმაურის გარეშეც შეიძლებოდა.

***—მაშინ, როგორც იურისტმა, მითხარით, რა შეცდომები დაუშვეს ივანიშვილის იურისტებმა?***

— როდესაც ივანიშვილის საქართველოს მოქალაქეობაზე დაიწყო საუბარი, ბიძინა ივანიშვილს საფრანგეთმა არ ჩამოართვა მოქალაქეობა, ზუსტად ეს გამოიყენა ამ ხელისუფლებამ და ივანიშვილს მიუთითა ორმაგ მოქალაქეობაზე და არა იმაზე, რაზეც ლაპარაკობდნენ ივანიშვილის იურისტები. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილს ჰყავს ძალიან ბევრი უღირსი ადამიანი თავის გუნდში და საერთოდ, ეჭვი მეპარება, რომ ამ ადამიანმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს. ივანიშვილის გარეშე ჩვენ უკეთესად გვეცოდინებოდა თუ რა უნდა გაგვეკეთებინა და საზოგადოებაც არ იქნებოდა ასე დაბნეული.

***— პროექტები ახსენეთ, რომლის განხორციელებასაც აპირებთ, იქნებ უფრო მეტად დაგვიკონკრეტოთ?***

—ჩვენ ძირითადად აქცენტი გვექნება გაკეთებული სოციალურ პოლიტიკაზე. ჩვენ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით სალაროაპარატების თემას. ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაწესრიგოს ეს საკითხი და არა ისე, რომ პრობლემებმა გადაიწიოს არჩევნებიდან არჩევნებამდე. ჩვენ ამასთან დაკავშირებით უნდა შევიდეთ საკანონმდებლო ინიციატივით, რათა მცირე მეწარმეებზე მოხდეს ფიქსირებული გადასახადის დაწესება. ასევე ჩვენ გვაქვს მზად კანონპროექტი და გარკვეული მიზეზების გამო თავი შევიკავეთ, ეს ეხება ატსტუპნიკებს. მარტო დედაქალაქში 40 ათასამდე ასეთი ოჯახია, ჩვენ საკანონმდებლო ინიციატივით აუცილებლად შევალთ, სადაც მოვითხოვთ უპირობოდ დაკანონებას იმ ფართების, რაშიც ამ ადამიანებს უკვე აქვთ ფული გადახდილი. ჩვენ ასევე უნდა გავაპროტესტოთ დასუფთავების გადასახადის მიბმა ელექტროენერგიაზე, ვინაიდან ამ საკითხზე აღარავინ ლაპარაკობს, ჩვენ ვაპირებთ სერიოზული ბრძოლის წამოწყებას ამასთან დაკავშირებით და დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ საბოლოო წარმატებას.

***— წარმატების მექანიზმი რა იქნება?***

— ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ ამ საკითხს და წარმატების მექანიზმი იქნება ის, რომ აქციების, სასამართლოს გზით, საზოგადოების დიდი მხარდაჭერით მივაღწევთ წარმატებას. ჩვენ ხელისუფლებას ყველა უკანონო ქმედებაზე სერიოზულ დისკომფორტს შევუქმნით.

---

*სპორტი*

# რა ხდება ქართულ სტადიონებზე

თუ ადრე ცუდი ფაქტები გულშემატკივრებიდან მოდიოდა, ახლა უკვე ისეთი ხალხი აფუჭებს ატმოსფეროს ქართულ სტადიონებზე, ვისაც პირიქით, წესრიგის დაცვა ევალება. ქართულ სპორტულ პრესაში უკვე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ზესტაფონში, ადგილობრივი გუნდისა და გორის „დილას" მატჩისას ვიპ-ლოჟიდან მთავარი მსაჯის, თორნიკე გვანცელაძის მისამართით მაღალჩინოსნები უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამის შესახებ თორნიკე გვანცელაძეს ოქმში ერთი შენიშვნაც არ გაუკეთებია.

სამაგიეროდ, იარაღიანი მაგინებლების შესახებ თვალი არ დახუჭეს ზუგდიდში გამართული ადგილობრივი „ბაიასა" და თბილისის „დინამოს" მატჩის მსაჯებმა.

ერთ-ერთ ქართულ სპორტულ პორტალს ხელში ჩაუვარდა ეს ოქმი, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ:

— მატჩის დამთავრების შემდეგ მაყურებელი იქცეოდა აგრესიულად. იყო გინება მსაჯების მიმართ, რის გამოც მსაჯებს დაგვჭირდა მინდორზე ლოდინი უსაფრთხოების მიზნით, სანამ ადგილზე მყოფი საჯარისო ნაწილი უზრუნველყოფდა უსაფრთხო კორიდორს, რის შემდეგაც მოხდა ჩვენი გაყვანა გასახდელამდე. გზაში გასახდელისკენ სამოქალაქო სამოსში მყოფმა ძალოვანებმა, რომელთაც ქამარში იარაღები ჰქონდათ გაჩრილი, იმის მაგივრად, რომ წესრიგი დაეცვათ, დაგვიწყეს გინება და ფურთხება. ამის შემდეგ, იგივე პირები, დაახლოებით 6 კაცი, შემოიჭრა მსაჯთა ოთახში ასევე გინებით და სახეში ფურთხებით. პირადად მე, ერთ-ერთმა მათგანმა მაგიდაზე მდგარი ჭურჭლიდან შემომასხა წყალი და ცემა დამიპირა, მაგრამ ოთახში მყოფმა მატჩის დელეგატმა (დირექტორმა) ენუქი თევზაძემ და მეოთხე არბიტრმა ალექსი კრიჭაშვილმა სცადეს ჩემი დაცვა. ამის გამო, ბატონ ენუქის ერთ-ერთმა მათგანმა სახეში გაარტყა ხელი, ხოლო ალექსი კრიჭაშვილს ურტყეს წიხლები. ამის შემდეგ ისინი გინებ-გინებით გავიდნენ ოთახიდან.

ტექსტის შემდგენი და ხელის მომწერი ფიფას არბიტრი ლაშა სილაგავა გახლავთ.

ცხადია, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმისკენ, რომ ქართულ ფეხბურთში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. მსგავსი ფაქტები მას შემდეგ გრძელდება, რაც საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარება დავიწყეთ. ამ ყველაფრის ფონზე კი ძნელია საუბარი, რომ ჩვენს ჩემპიონატში დონე იმატებს, არ ხდება გარიგებული თამაშები, როგორ ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით ქულების მოპოვებას გუნდები.

როგორც ირკვევა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ყველაფერი არაქართულად დასრულდება და დამნაშავეები მიკვლეული იქნებიან.

მ. ჟ.

---



hჰxცჲxჰლბ ,

**შვეულად:** 1. პატარა სასეირნო გემი; 2. კომედიური ხასიათის მუსიკალური სცენური ნაწარმოები; 3. ნავთობის უდიდესი საბადო ყაზახეთში; 4. ტანსაცმლის და თეთრეულის კარადა; 8. გერმანული ყველი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 12. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში; 16. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 17. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 19. საგნის ნატურალური ზომის მოდელი; 21. რადიაქტივობის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5 ზღვის დიდი ათფეხა, ჯავშნიანი კიბორჩხალა 6. შეძენილი ჭკუასუსტობა; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 13. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 15. ქართული მითოლოგიის გმირი; 18. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 20. პატარა მაიმუნი; 22. სახელმწიფო ახლო-აღმოსავლეთ აზიაში; 23. დიდი აღელვება, აურზაური რაიმე ამბის ირგვლივ; 24. ნდობა, ავტორიტეტი, გავლენა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰxცჲxჰლთ,Bჩ გფცე[ც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კომედია; 2. ბულა; 3. დუვრი; 4. პილონი; 6. ჩოქბჯენი; 9. ბეკონი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. მწყერი; 17. სევრი; 18. ტვინი; 20. ბიზე.

**თარაზულად**: 1. კობზარი; 5. აიაჩო; 7. ბულიმია; 8. მაღრიბი; 10. ეპოქა; 11. რემბო; 12. ასკილი; 16. „საბენა"; 17. სკოტი; 19. პერო; 21. ბეკინა; 22. „არსენა"; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „ხანუმა"; 2. აპალაჩი; 3. „ქრისტინე"; 4. ჩიკანოსი; 8. მორჩილაძე; 9. დირიჟაბლი; 11. მსჯავრი; 12. ვაჩა; 14. ბრნო; 16. ლუიზიანა; 17. საქაროზა; 19. ფერიტი; 21. „გაგრა".

**თარაზულად**: 5. „ერისიონი"; 6. ბარითმია; 7. კომენტარი; 10. კიმონო; 13. პერესი; 15. ოჩიაური; 18. სუდანი; 20. ქალაქი; 22. შარლემანი; 23. ანეკდოტი; 24. პროგნოზი.

---

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: თუ ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იარსებებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***— მაგრამ სამომავლო პერსპექტივაშიც კი არ არის ისეთი ძალა, რომელსაც ეყოფა იმდენი ჭკუა, რომ დაფიქრდეს მაინც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობაზე..***

— ჩვენი უბედურება არის მრავალწახნაგოვანი. ოპოზიცია ვერ ხვდება ერთ რამეს, რომ არსებობს სამშობლო, ოპოზიცია ხვდება მხოლოდ ერთ რამეს, როგორმე მეტი ფული გამოგლიჯოს ამერიკელებს. რუსებს რომ მიეცათ ფული, ესენი უკვე ისე იქნებოდნენ რუსების უკანალში შემძვრალი, რომ იქიდან გამოყვანა ძალიან გაჭირდებოდა. ბიძინა ივანიშვილი ისე დაფრთხა, რომ რუსეთში თავისი ბიზნესის გაუქმებაზეც კი გააკეთა განცხადება. რა დონის მშიშარა და კურდღელი უნდა იყოს კაცი, რომ ეს სისულელე თქვას. რუსეთი კვებავს ამერიკულ ბიზნესს, ევროპულ ბიზნესს და რა გამოდგა ასეთი ეს მშიშარა ივანიშვილი, რომელსაც იმდენად შეეშინდა ბერძენიშვილების და ალასანიასი, რომ უარი თქვა ყველაფერზე. საქართველო ამ ადამიანებს არ სტკივათ, ისე, როგორც არ სტკიოდა შევარდნაძეს და სააკაშვილს. ახლა დავრწმუნდებით, რომ იგივეს გააკეთებს ივანიშვილიც თუ მოვიდა ხელისუფლებაში.

***— ჩვენი საბოლოო შედეგი რა იქნება?***

— საბოლოო შედეგი არის უკვე, რამდენი სოფელი დაიცალა, ჩამოასახლებენ თურქ მესხებს, რომლებმაც ორი სიტყვა არ იციან ქართული და არც არანაირი განწყობა არ აქვთ ამ ქვეყნის მიმართ ერთის გარდა, რომ აქ მოხდეს თურქული პოლიტიკის გატარება. ებრაელი თავისთვის იგლიჯება, ამერიკელი თავისთვის და ეს ორი კაკალი ქართველი ვერაფერს ვერ მივაღწევთ. გადაკეტილია ყველანაირი საინფორმაციო საშუალება, რომ ეს ხალხი საღათას ძილიდან გამოაფხიზლონ, უნდა შეიგნოს ამ ხალხმა, რომ თურქთან ჩახუტება კარგს არაფერს მოგვიტანს. მე არ ვამბობ, რომ უნდა ვიომოთ თურქთან ან სხვა ვინმესთან, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ბალანსირებული პოლიტიკა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთივე წაკუზული, როგორც დღეს წაკუზული ვართ ამერიკელების წინაშე, თურქების წინაშე, და რატომღაც ვექიშპებით რუსს, ვითომ რამის თავი გვქონდეს.

# კავკასიაში დოკუმენტური კინოს განვითარება იწყება

ეკა ირემაშვილი

სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტური კინოს განვითარება ახალ ფაზაში შედის. საქდოკ ფილმი და „ადამიანი გაჭირვებაში“ (ჩეხეთი) წარმოადგენს პროექტს „კაუკადოკ“, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტურ კინოს განვითარების ხელშეწყობას.



ზე ოფიციალურად გამოცხადდება კონკურსი პროექტის განვითარების ინტენსიურ კურსში მონაწილეობის მისაღებად.

– ამ კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლიათ დოკუმენტური კინოს რეჟისორისა და პროდიუსერისგან შემდგარ გუნდებს საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა კი 20 მაისია. შერჩეული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ექვსთვიან საწვრთვნელ კურსში. კურსი მოიცავს ორი კვირის ხანგრძლივობის ვორკშოპებსა და უწყვეტ ონლაინ კონსულტაციას. მოწვეული და ადგილობრივი ტრენერების დახმარებით კურსის განმავლობაში გუნდები საკუთარი ფილმების იდეებს განავითარებენ.

– პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მას საფუძვლად უდევს ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ 14 წლიანი გამოცდილება – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი „ერთი მსოფლიო“. ამავე პროექტში წარმოდგენილი იქნება საქდოკ ფილმის გამოცდილება – დოკუმენტური კინოს წარმოება და ინდუსტრიული სახის ღონისძიება „ფიჩ დოკი“, – განაცხადა საქდოკ ფილმის წარმომადგენელმა სალომე ჯაშმა.

პროექტის პრეზენტაცია 19 აპრილს გოეთეს ინსტიტუტში დაგეგმილი. პრეზენტაცია-ტრენინგის ფოკუსი იქნება როგორც ფილმის შინაარსი და ფორმა, ასევე პროდაქშენის სტრატეგია, – აღნიშნა სალომე ჯაშმა.

კურსის ბოლოს გუნდებს შესაძლებლობა მიეცემათ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დროს „ფიჩ დოკზე“ ფილმის პროექტი წარუდგინონ საერთაშორისო კინო ფონდებისა და ფესტივალების წარმომადგენლებს.

– წარმატებული პროექტის ავტორები მიწვეულ იქნებიან ევროპული დოკუმენტური კინოს 2013 წლის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, – განმარტა საქდოკ ფილმის წარმომადგენელმა.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

თანავუგრძნობთ ქალბატონ ჟუჟუნა ბაბუციძეს მეუღლის, დიდებული პიროვნების, ბატონი

**ანდრო ლევანის ძე ბერუაშვილის**

გარდაცვალების გამო.

სამძიმარსა და მწუხარებას ვუცხადებთ ოჯახს, შვილს, შვილიშვილებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

*შშს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი*



შვილი ლიკა, შვილიშვილი მარიამი და ციცო, დისშვილი მაკა ჭელიძე, სიძე დავით ჩოფიკაშვილი, ბიძაშვილები ამირან, თემურ, ნელი მექვაბიშვილები, დეიდაშვილი ვაჟა კუჭავა, რძლები ლიანა, ნინო, მადონა მექვაბიშვილები იუწყებიან შესანიშნავი პიროვნებისა და მოქალაქის

**თამაზ მექვაბიშვილის**

გარდაცვალებას.

ნანა, შალვა, დალი, პეტრე ბერაიები მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის

**ჯემალ ცომაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ენძელა, დარეჯან, დალი და პეტრე ბერაიები შვილებით, შვილიშვილებითა და სიძეებით თანაუგრძნობენ ირინა და ზაურ ცომაიების ოჯახებს

**ჯემალ ცომაიას**

გარდაცვალების გამო.

სამშობიარო „იმედის კლინიკა“ სამძიმარს უცხადებს ექიმ გოგა ნიქაბაძეს ბებიის

**ნორა ჩუბინიძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# კულტურის მინისტრი გურიაში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აგრძელებს საქართველოს რეგიონებში სტუმრობას. იმერეთისა და კახეთის შემდეგ მინისტრი გურიას ესტუმრა და სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების მონახულება და მათთვის საჭირო ინვენტარის გადაცემა გადაწყვიტა.



ნიკოლოზ რურუა ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწვია, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეხვდა და მათ საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და 30-მდე წიგნი გადასცა. ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა დაათვალიერა ოზურგეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი აბანოები. მოინახულა სახვითი ხელოვნების განვითარების ცენტრი, სადაც სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის „გურია“ ხელმძღვანელის ჯუმბერ დუნდუას შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას გაეცნო. გურიაში ვიზიტის ბოლოს ნიკოლოზ რურუა ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ეწვია და საჩუქრად საკონცერტო როიალი გადასცა, შეხვდა ოზურგეთის კულტურის სფეროს წარმომადგენლებს და პედაგოგებს „დამსახურებული პედაგოგის“ წოდება მიანიჭა.

გურიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ამაღლებული ღონისძიება დღის ბოლოს გაიმართა. სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გურია“ კონცერტი გამართა. ღონისძიების ბოლოს კი ანსამბლის ხელმძღვანელის ჯუმბერ დუნდუას ვარსკვლავის გახსნის ცერემონია გაიმართა. ჯუმბერ დუნდუა ანსამბლ „სუხიშვილების“ პირველი თაობის მოცეკვავეა, სწორედ ამიტომ გურიაში ჩავიდნენ ანსამბლის ის მოცეკვავეები, ვინც მასთან ერთად წლების განმავლობაში ამ ანსამბლში ცეკვავდა.

– დიდი ბედნიერებაა ჩემთვის დღევანდელი დღე. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ვარსკვლავის ღირსად ჩამთვალა. ეს დასტურია იმისა, რომ თუკი ჩვენი შემდგომი თაობები იშრომებენ, ილვაწებენ, მათი შრომა აუცილებლად დაფასდება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას ჩემი მრავალწლიანი შრომის დაფასებისთვის, – განაცხადა ვარსკვლავოსანმა ქორეოგრაფმა.

გურიაში დაგეგმილ ღონისძიებებს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მინისტრის მოადგილე დავით ქირია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ვალერიან ჩიტაიშვილი.

– ეს არის ნამდვილად დიდი ადამიანის გამარჯვების დღე. მიხარია, რომ ბატონ ჯუმბერს ვარსკვლავი გავუხსენით. ვულოცავ მისი ოჯახის წევრებს, ყველა მეგობარს, მისი ანსამბლის ყველა ბავშვს. მათ კი ვეტყვი, რომ ძალიან გაუმართლათ, იმიტომ, რომ ჰყავთ ისეთი ძლიერი პედაგოგი, როგორიც არის ჯუმბერ დუნდუა. მან არაერთი ადამიანი აზიარა ქართული ცეკვის ხელოვნებას, ამიტომაც ნამდვილად იმსახურებს ამ ვარსკვლავს. კიდევ ერთხელ ვულოცავ სულით და გულით, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

## საია კახეთში ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე ზეწოლაზე საუბრობს

არასამთავრობო ორგანიზიაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ინფორმაციით, ბოლო დროს კახეთის რეგიონში პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე ზეწოლები გახშირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საიას თელავის ოფისის ხელმძღვანელმა მარეხ მგალობლიშვილმა განუცხადა, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისთვის სამსახურიდან გაათავისუფლეს გურჯაანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მძღოლი ზურა თერგიაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორის მოადგილე, კოალიცია „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის წევრი ზვიად ყვირალაშვილი და პედაგოგები, თამარ სუხიაშვილი და ცისანა ჯოიაშვილი.

„საია შეშფოთებას გამოხატავს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის, დაშინების, სამსახურიდან გათავისუფლებისა და ზეწოლის არაერთ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია სათანადო ორგანოების მხრიდან“, – აღნიშნა მგალობლიშვილმა.

საია შეშფოთებას გამოხატავს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის, დაშინების, სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში სპეციალურად მომზადებულ ანგარიშს საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნის.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ახალი პრეზიდენტი ჰყავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებიდან“ აცნობეს, წითელი ჯვრის საზოგადოებას ყოფილი პრეზიდენტი ნანა ყეინიშვილი ამ პოსტზე ნათია ლოლაძემ შეცვალა.

ახალი პრეზიდენტი საზოგადოებამ გენერალური ასამბლეის XXVI სხდომაზე აირჩია, სადაც საზოგადოების ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები გაიმართა.

*ინტერპრესნიუსი*

## ვიაჩესლავ ჩირიკბა ჰილარი კლინტონს შანტაჟში ადანაშაულებს

აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს შანტაჟში ადანაშაულებს.

როგორც რუსული მედია იუწყება, ამის შესახებ ჩირიკბამ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებენ, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მხრიდან შანტაჟსა და დაშინებას აქვს ადგილი.

„არსებობს კლინტონის წერილები ღია მუქარით, კერძოდ, ფინანსური სანქციების მუქარით იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ჩვენს აღიარებას აპირებენ“, – განაცხადა ჩირიკბამ.

მისი თქმით, ასეთი მუქარის გამო აფხაზეთის აღიარება დომინიკის რესპუბლიკამ გადაიფიქრა. „იყო მუქარები ბელორუსისა და ყაზახეთის მიმართაც“, – განაცხადა ჩირიკბამ.

*ინტერპრესნიუსი*

## აშშ-ში თინა ხიდაშელის ვიზიტი დაიწყო

აშშ-ში კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის ვიზიტი დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „რესპუბლიკური პარტიიდან“ აცნობეს, ხიდაშელმა ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში თომას მელიასთან გამართა, რომელზეც საუბარი წინასაარჩევნო გარემოსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს შეეხებოდა.

„კითხვები კონკრეტულად იმ პრობლემებს შეეხო, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას, სწრაფად გაერკვნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობაში, თუ რა კონკურენტული და სამართლიანი პროცესი მიდის მედიის, სარეკლამო ბაზრის ხელმისაწვდომობისა და აქტივისტების მიერ საარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების მონტორინგის მიმართულებით“, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ თინა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, მან მიიღო ინფორმაცია ყველა იმ რეკომენდაციის შესახებ, რომელსაც ამერიკული მხარე საქართველო-ამერიკის ქარტიის ფარგლებში, დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებას უწევს.

რაც შეეხება თომას მელიას, „რესპუბლიკური პარტიის“ ცნობით, ის კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული ქმედებებით და რეგიონებში „ქართული ოცნების“ საქმიანობით დაინტერესდა.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ხიდაშელი სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის ყოველწლიური ანგარიშის მომზადების სამსახურის წარმომადგენლებსაც შეხვდა.

*ინტერპრესნიუსი*

## TV პროგრამა

ხუთშაბათი
19 აპრილი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **14.00** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე არც ისე"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** დიალოგი დავით პაიჭაძესთან **23.00** სპორტული ტოკ-შოუ "არენა" **00.00** სი-ბემოლი **01.00** მოამბე **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** (15) (მ. ფრიმანი) **04.00** მხ. ფილმი **"დენის და ლორის დებატები"** (12) (შ. სტოუნი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 14.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"წყალზე ბევრად მეტი"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ძმა, მზე და მთვარე"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** 100 გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 3"** **00.00** რომ გადახვალ გააჩერე **00.25** მხ. ფილმი **"დაუმარცხებელი"** (15) (უ. სნაიპსი) **02.30** მხ. ფ. **"ჩამსკრაბერი"** (15) (გ. კლოუზი) **04.25** მხ. ფილმი **"დამცველი"** (12) (დ. ლუნგრენი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **16.00** იცხოვრე ფეხბურთით **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"მონტალბანო"** **13.50** სცენა **15.15** სერ. **"სიამაყე"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.15** მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** **13.40** კონცერტი – ლიზა ბაგრატიონი **15.05** განთიადის სუტმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.10** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.25** დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ" **23.10** დოკ. ფილმი "ქარაგმა" **00.55** კონცერტი – ანდრე რიუ

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 aprili

აშშ დოლარი — 1,639

ევრო — 2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 19 აპრილისთვის




# მოჭიდავეები ოლიმპიური ლიცენზიებისთვის სოფიაში იბრძოლებენ

**20–22 აპრილს სოფია ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლებს.**



საქართველოს ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა ბეგი დარჩიამ და ზაზა თურმანიძემ შემადგენლობები იმ წონითი კატეგორიების სპორტსმენებით დააკომპლექტეს, რომლებშიც გუნდს ლონდონის საგზური ჯერ არ მოუპოვებია.

ამ დროისთვის, კლასიკოსთაგან ლიცენზია მხოლოდ მანუჩარ ცხადაიას (66 კგ) აქვს. თავისუფლებმა 4 წონაში შეძლეს ოლიმპიური ნორმატივის შესრულება — მალხაზ ზარქუამ (60 კგ), დავით ხუციშვილმა (74 კგ), დავით მარსაგიშვილმა (84 კგ) და დავით მოძმანაშვილმა (120 კგ) ცხადაიას მსგავსად, საწადელს მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე მიაღწიეს.

დარჩენილ სამ წონაში ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე ამჯერად შანსს ვლადიმერ ხინჩეგაშვილს (55 კგ), ზურაბ იაკობაშვილსა (66 კგ) და გიორგი გოგშელიძეს (96 კგ) მისცემს. ბეგი დარჩიამ კი სოფიაში შემდეგი მოჭიდავეები იახლა: გოდერძი დავითაძე (55 კგ), ფირუზ წულუკიძე (60 კგ), ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ), რევაზ ნადარეიშვილი (84 კგ), სანდრო დიხამინჯია (96 კგ) და სერგო გოგისვანიძე (120 კგ). როგორც ხედავთ, განაცხადში არ არიან ევროპის შარშანდელი ჩემპიონი რევაზ ლაშხი (60 კგ) და მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (74 კგ). ბერძენ-რომაელთა თავკაცი მათ 27-29 აპრილს, ჩინეთის ქალაქ ტაიუანში ჩასატარებელ სალიცენზიო ტურნირის განაცხადში შეიყვანს. 4-6 მაისს კი დასკვნით სალიცენზიო ტურნირს ჰელსინკი უმასპინძლებს.

ბულგარეთში თითოეულ წონით კატეგორიაში ლონდონის ლიცენზიებს ფინალისტები მიიღებენ, ჩინეთში — სამ-სამი საუკეთესო, ხოლო ფინეთში ისევ ფინალისტები. თუ სალიცენზიო ქვოტაში ისეთი მოჭიდავე შევა, რომელსაც ოლიმპიადაზე ჭიდაობა იქამდეც განაღდებული ექნება, მაშინ ლიცენზია ერთი საფეხურით დაბლა მდგომ სპორტსმენს გადაეცემა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გიორგი ყიფშიძე ვაჟის მამაა

ეკა ირემაშვილი

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ყიფშიძე ვაჟის მამა გახდა. პატარა 16 აპრილს საკეისრო კვეთით მოევლინა ქვეყანას და მას მშობლებმა ალექსანდრე დაარქვეს.



გიორგი ყიფშიძის მეორე მეუღლემ ანი ჩიკვილაძემ მსახიობს სანატრელი ვაჟი აჩუქა. მიუხედავად საქართველოში არსებული ტრადიციისა, რომ ბიჭები თავის შვილებს მამის სახელს არქმევენ, ყიფშიძეებში ეს სტერეოტიპი დაირღვა — გიორგის და ანის შვილისთვის ბაბუის, ზურა ყიფშიძის სახელი არ დაურქმევიათ. წყვილისთვის ეს პირველი შვილია. წყვილმა მოილაპარაკა — თუ გოგონა შეეძინებოდათ, სახელს დედიკო შეურჩევდა, თუ ბიჭი გაჩნდებოდა, მაშინ მსახიობი დაარქმევდა სახელს. ვინაიდან წყვილს ბიჭი შეეძინა, გიორგიმ თავისი საყვარელი სახელი — ალექსანდრე დაარქვა. როგორც ახალბედა მშობლები განმარტავენ, ეს მსახიობის საყვარელი სახელია, უბრალოდ მოსწონს და არავის პატივსაცემად არ მოქცეულა ასე.

გიორგი ყიფშიძემ ორსული მეუღლე მთელი 9 თვის განმავლობაში გაანებივრა. მიუხედავად იმისა, რომ მის ფეხმძიმე ცოლს განსაკუთრებული მოთხოვნები არ ჰქონია, მსახიობი მზად იყო, მისთვის ყველაფერი გაეკეთებინა. წყვილი შვილს დიდხანს ელოდებოდა, ამიტომ ეს ამბავი მსახიობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. შვილის მოლოდინმა მსახიობი ძალიან შეცვალა. მსახიობი შეიცვალა თავისი პროფესიისადმიც — იგი რეპეტიციებზე აღარ აგვიანებს და ყველაფერს მეტი პასუხისმგებლობით და ყურადღებით ეკიდება.

გიორგი ყიფშიძე 2001 წელს გაშორდა პირველ მეუღლეს, მოდელ კრისტის, ვისთანაც მას გოგონა ნატაშკა ჰყავს. გოგონას მამა ძალიან უყვარს, ამიტომ მასთან ხშირად მიდის სტუმრად.

# შავფაროსნები რომის ფესტივალში ჩაერთვებიან

ეკა ირემაშვილი



ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ რომის დაარსებისადმი მიძღვნილ ფესტივალში „ნატალე დი რომა“ მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალი რომში 20–22 აპრილს გაიმართება. აქ ძირითადად წარმოდგენილია ევროპის ქვეყნები — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი და სხვა ევროპული ქვეყნები. საქართველო წელს მასში პირველად მონაწილეობს. რომის ცენტრალურ ქუჩებში მოწყობილ მასშტაბურ მსვლელობაში საქართველოს დროშა პირველად აფრიალდება. რომში გამგზავრებამდე, „შავფაროსნები“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბზობის დღესასწაულზე დალოცა. მათ ვიზიტს რომში ბანკი კონსტანტა აფინანსებს. „შავფაროსნების“ წევრებმა რომში გამგზავრებამდე ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს და ყველა იმ დეტალზე ისაუბრეს, რაც მათ რომში ელოდებათ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე


# 28 მარტიდან

ეყბრფკეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

23-ე ტომი

ლ P F Y ქ F

3!)) ობუყიბ4 იცლბც ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7 ჰჯვცასთფნ ცბცბ hღფჯბ ცფნჯღცც ვცჯაჯბჯ გჯაბნბhფიბ7 ვცნყბცჰტ,ფცფ ცფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ * კფჰბ





## .ღცაფვ უფბსღფჯბცობყცს= წარმატებული დღეა

fcnhjghjuyjpb !( ფგჰბჯბცსღბც

**ვერძი** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, ასე აჯობებს. **კირჩხიბი** — ნუ გაფლანგავთ დროს, დრო ფულია. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა შემოგნატრით. **ქალწული** — გზიდან საჩუქარს მიიღებთ, არ ელოდით. **სასწორი** — რაღაცის გარკვევა გინდათ, აჩქარდით. **ღრიანკალი** — შრომა ნამდვილად დაგიფასდებათ, თუმცა გადაღლილი კი ხართ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, თქვენი საქმე აკეთეთ. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — საიდუმლოს ნურავის გაანდობთ, გაუფრთხილდით. **თევზები** — საქმე კარგად წაგივათ, მთავარია არ მოდუნდეთ.

უბცეჰღტ,ს ,ცღყბცჰ ცქცც=

## hჰჯცღჯჰცბ ფ

**შვეულად:** 1. ერთდროული გასროლა სანადირო თოფის ორივე ლულიდან; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. მუზეუმი პარიზში; 4. ციური სხეულის სამოძრაო გზა; 6. წითელი ფერის მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 9. საჭმელი სოკო; 13. ვრცელი, ბალახოვანი აუთვისებელი სივრცე; 14. მოსახლეობით ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში; 15. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 17. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. კუთხე საქართველოში; 20. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული კუთხე; 5. ფულის ერთეული სომხეთში; 7. წყალზე მცურავი მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარე; 8. ქართული სახლის, ოდის ღია აივანი; 10. ალალბედზე მოქმედება; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 16. ტროპიკული ხილი; 17. სქელი ქაღალდი; 19. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. მეფის სიგელი; 22. უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 23. იმრე კალმანის ოპერეტა; 24. დამატებითი ჯილდო, ბონუსი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

